# ვის ვალს იხდის და რამდენს უკავებენ პენსიიდან მარტოხელა ქალბატონს?



**ალიონი.** ამ 31 იანვარს, ასე, 12 საათისთვის რედაქციის კარი შავით მოსილმა, მხცოვანმა ქალბატონმა შემოაღო და მორიდებით პურის ფული ითხოვა. იგი **ელიკო ხანთაძის** სახელით გაგვეცნო. როგორც გვითხრა, არის მარტოხელა, 75 წლის, ცხოვრობს ოზურგეთში, ძველი სამშობიარო სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველი საერთო საცხოვრებლის ტიპის სახლში. იღებს პენსიას მხოლოდ 50 ლარს, დანარჩენს კი უკავებენ იმის გამო, რომ მეზობელმა პირადობის მოწმობა მოპარა და ამ მოპარული პასპორტით სესხი გამოიტანა. სესხის გამომტანი უკვე გარდაცვლილია და დაზარალებულმა არ იცის, ვის მოთხოვოს პასუხი ან რამდენ ხანს უნდა იხადოს სხვისი სესხი.

„კი მრცხვენია, რომ პური ფულს ვითხოვ, მარა ასე წევიდა ჩემი საქმე. პენსია თითქმი სხვის ვალებში მიდის და 50 ლარით თავი როგორ გავიტანო“.

**— რატომ? პენსია რამდენი გაქვთ, ქალბატონო?**

— 180 მქონდა, ახლა ოცი ლარი მოგვიმატეს თურმე, მარა ამდენი ხანია, არც 180 და არც 200 თვალათ არ მინახავს ერთად. მეზობელმა ჩამაგდო ამ დღეში. ერთხელ მესტუმრა, ბუხრის თავზე პირადობის მოწმობა მედო, მომპარა და ბანკიდან სესხი. საქმე პოლიციაშიც იყო, 300 ლარი მოატანინეს. მერე გარდაიცვალა და დანარჩენს ვიხდი და არ დაადგა საშველი.

**—დავუშვათ, მოგპარათ, მაგრამ ბანკმა როგორ მისცა სესხი თქვენი თანხმობისა და ხელმოწერის გა-რ-ეშე? იქნებ არ გახსოვთ და თავ-დებად დაუდექით? თქვენს სახელზეა სესხი თუ მისზე?**

— თავდებად არავის დავდგომივარ, ხომ გითხარით, მომპარამეთქი.

**— ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, იქნებ თქვენი ძველი ვალებია...**

—არ გამომიტანია არასდროს, არ დამჭირვებია.

**— სესხი რამდენია და რო-დის დამთავრდებაო. არ გითხრეს ბანკში?**

— არ მიკითხავს.

**—პენსიას ხომ თვითონ იღებთ, რატომ არ ჰკითხეთ?**

— კი, ჩემით ვიღებ. დანარჩენი ვალში გექვითებათო, მეუბნებიან.

**— რამდენი ხანია, რაც 50 ლარს იღებთ?**

— ერთ წელიწადზე მეტია.

**— ადგილობრივი ხელისუფლება ხომ არ შეგიწუხებიათ ამ საკითხზე?**

—მთავრობამ მორჩესო.

**— ბოდიში, ვერ გავიგე, ქალბატონო?**

— მალე მორჩეს ბანკი ერთი მაგასო.

**— და როდის იქნება ეს მალე, ვერ ჰკითხეთ?**

— ახლა მივალ მაგის საკითხავად.

ქალბატონი ელიკო ამბობს, რომ მეუღლე დიდი ხანია გარდაეცვალა, ერთადერთი შვილი კი ხუთი წლის წინ დაეღუპა. მისი თქმით, საზღვარგარეთ მუშაობდა და ამხანაგებმა ჩამოუტანეს ამბავი, ინფარქტი მოუვიდა და დაიღუპაო. და-ძმა ჰყოლია საჩხერეში, ვერ მოახერხა მათთან დაკავშირება, თორემ არც „ასე ძაღლის საჭმელად“ დარჩებოდა და არც პურის ფული ექნებოდა ვინმესთვის სახვეწნი.

შევთანხმდით, რომ ხელისუფლებაში ამბის მოკითხვის შემდეგ, რედაქციაში მოვიდოდა და ერთად მივიდოდით „ლიბერთი ბანკში“, სადაც შევეცდებოდით დაგვედგინა ვალის წარმომავლობა და რაოდენობა.

ვერ გეტყვით რა მიზეზით, მაგრამ უკვე მეათე დღეა, რაც ქალბატონი ელიკო რედაქციაში არ გამოჩენილა.

ამ თემას აუცილებლად დავუბრუნდებით. იმედს გამოვთქვამთ, ადგილობრივი ხელისუფლება და „ლიბერთი ბანკი“ უყურადღებოდ არ დატოვებენ ამ ფაქტს და არ დატოვებენ 75 წლის მარტოხელა ქალბატონს გაურკვევლობაში.


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 6 (10300) 11 თებერვალი 2019 წ. ფასი 60 თეთრი.


# შეხვედრები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები ამჯერად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში გაიმართა.

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი და ოზურგეთის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ცხემლისხიდის, ბაღდადის, ვაკიჯვრის და ფამფალეთის მოსახლეობას შეხვდნენ.

ცხემლისხიდის მოსახლეობამ გამოყოფილი თანხის ფარგლებში პრიორიტეტად სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ხიდის აღდგენა, მოსაცდელის მოწყობა აირჩია და უჩხუბის უბანში გარე განათების დამონტაჟება.

სოფელ ბაღდადის მოსახლეობის გადაწყვეტილებით გარე განათება, მგზავრთა მოსაცდელი და სანიაღვრე არხი მოეწყობა.

ფამფალეთის მოსახლეობამ სასაფლაოს შეღობვა, მოსაცდელისა და საბავშვო ბაღში ატრაქციონების მოწყობა გადაწყვიტა.

სოფელ ვაკიჯვრის მოსახლეობამ სოფლის ცენტრისა და მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა აირჩია.

# დვაბზუელები სამხარეულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას ელოდებიან

## „სუფთა წყალი, სუფთა ჰაერი, არავითარი „მოწამვლის დონე!“

**ალიონი.** 5 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გაღმა დვაბზუში ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი სოფლის ტერიტორიაზე შპს „**NEW ROAD**“ მობილური ტიპის ასფალტის ქარხნისა და სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მუშაობას აპროტესტებდნენ.

„სუფთა წყალი, სუფთა ჰაერი, არავითარი „მოწამვლის დონე!“; „გვაცალეთ სუნთქვა, გვაცალეთ ძილი!“; მდინარე ნატანების სანაპირო ზოლს იურიდიულად საწარმოო ზონის სტატუსი არ აქვს!“; „ჭაში წყალი დაშრა, გვწყურია!“—იყო აქციის მონაწილეთა მოთხოვნები.




აქციის მიმდინარეობისას მიმდებარე მოედანზე პოლიციის 6 ეკიპაჟი იმყოფებოდა, გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს უფროს თემურ სხირტლაძის ხელმძღვანელობით.

აქციას სოფელ გაღმა დვაბზუს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლალი ბასილაშვილი უძღვებოდა. მან ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის შესახებ და ბოლო პერიოდში მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემებზე გააკეთა განცხადება:

**—ბოლო პერიოდში ჯანმრ-თელობის პრობლემები შეექმნა სოფლის მცხოვრებლებს. ცალკე თემაა ხმაური. სოფელში ფუტკარი გაწყდა. ჩვენი მოთხოვნაა, ისეთ ადგილას გადაიტანონ საწარმო, რომ ჩვენ არ დაგვაზიანოს. როგორც გავიგეთ, გამონაბოლქვი მილს ზემოთ კი არა, მილში უნდა გაისინჯოს. შემოწმდეს და გაიზომოს, ჩატარდეს ექსპერტიზა თვით მილში, საიდანაც გამონაბოლქვი გამოდის.. ამ ყველაფერს 1600 ლარი სჭირდება. ეს თანხა ჩვენ არ გვაქვს. ხელისუფლებამ დაგვეხმაროს და გადაიხადოს. ჩვენ არ ვართ საქმის კე-თების წინა-აღმდეგი, ქარხანაში ჩვენი თანასოფ-ლელებიც, არაჩვეულე-ბრივი ადამიანები მუშაობენ, მაგრამ ჩვენი თხოვნაა ქარხანა სხვა ადგილას გადაიტანონ თუ მოიწამლა ჰაერი, წყალი, რა გამოვა**—აღნიშნა **ლალი ბასილაშვი-ლმა.**

მანვე თქვა, რომ ხმაურის მაღალი დონის გამო საწარმო ზედამხედველობის სამსახურმა დააჯარიმა.

აქციის სხვა მონაწილეებიც აქტიურობდნენ:

*—სამი შვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებია ვარ. საუკეთესო წყალი გვქონდა, ახლა წყალს გემო შეცვლილი აქვს. სუნთქვის უკმარისობის გამო ექიმებმა თბილისში გამწერეს. იქ ვმკურნალობდი. ბიზნესი ბიზნესია, მაგრამ ჩვენ, ხალხმა რა დააშავა. მთელმა ოჯახმა ბრონქების ანთება გადავიტანეთ. შვილიშვილი თბილისში რომ გავუშვით, ამოისუნთქა. ეს ყველაფერი ქარხნიდან გამონაბოლქვის გამო ხდება* —თქვა **ხათუნა ჭაღალიძემ.**

აქციამ სოფელ გაღმა დვაბზუს ცენტრიდან მდინარე ნატანების სანაპიროზე მდებარე „**NEW ROAD**“ ტერიტორიაზე გადაინაცვლა. აქციის მონაწილეებთან ქარხნის წარმომადგენლები მივიდნენ.

— *ქარხანამ უნდა შეწყვიტოს ფუნქციონირება და სხვაგან უნდა გადაიტანონ. დღედაღამ მუშაობენ. ქვის სამტვრევი დანადგარის ხმაური ხომ აუტანელია. ახლა ერთი კვირაა გაჩერებულია, მაგრამ ხომ ამუშავდება? გამონაბოლქვის გამო მაქვს თავბრუხვევა. ჭებში წყალი ზამთარშიც აღარ არის, რადგან მდინარე ნატანებში ქვიშაღორღს რომ იღებენ, წყალი დაბლა შრეებში იკარგება. მელექედურშიც იყო აქცია წინა კვი-*


►►► გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;



**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**



*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# საკრებულოს მორიგ სხდომაზე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე, ლიხაურის მოსახლეობის მიერ ელექტრო-ნული პეტიციით ინიცირებულ საკითხზე იმსჯელეს.

ელექტრონული პეტიცია სოფელში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას გულისხმობს. განათლ-ებისა და სოციალურ საკითხთა კო-მისიის თავმჯდომარემ **ლელა საჯაიამ,** საკრებულოს საკითხის თაობაზე კო-მისიის გადაწყვეტილება გააცნო. კო-მისამ მერიას რეკომენდაციით მიმართა, გამოიყოს თანხები სოფელში შესაბამისი გარემოს შესაქმნელად. საკრებულომ კომისიის დასკვნა მოიწონა, რაც ოქმში აისახა.

სხდომაზე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნ-ულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილება. ფასი გასული წლის მსგავსად იგივე დარჩა.

ცნობად იქნა მიღებული საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევ-ლებისთვის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენის ინფორმაცია.

# „კარტლისი“ ოზურგეთელ ფერმერებს საგაზაფხულოდ, პირველ რიგში, ნიადაგის შესწავლას ურჩევს




**ალიონი.** კომპანია „კარტლისი“, რომელიც უკვე ოცდამეერთე წელია ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს და მომხმარებელს მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქებისა და სათესლე მასალის ფართო ასორტიმენტს სთავაზობს, ოზურგეთელ ფერმერებს, განსაკუთრებით მათ, ვინც თხილის კულტურის გაშენებას აპირებს ან უკვე გაშენებული აქვს, ურჩევს თავაიანთ ნაკვეთებზე, საგაზაფხულოდ, პირველ რიგში, ნიადაგის მჟავიანობა შეისწავლონ და შემდეგ შეუდგნენ აუცილებელ აგროქიმიურ ღონისძიებებს კომპანიის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციებით.

შეხვედრა, რომელიც ინდმეწარმე მარინა სუნგულიას ხელშეწყობით მოეწყო, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში 6 თებერვალს შედგა და მას აკადემიური დოქტორი, აგროქიმიკოსი და ნიადაგთმცოდნე, ქალბატონი ნინო მუმლაძე უძღვებოდა.

ფერმერებმა აქ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის შესახებაც მიიღეს ამომწურავი პასუხები. მათვე საჩუქრად გადაეცათ კარტლისის მიერ მაღალ პოლიგრაფიულ და პროფესიულ დონეზე მომზადებული შესაბამისი ბროშურები.

# პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია: „საქართველო– რუსთაველის სახლი“



ავლაბრის ყოფილი რეზიდენცის სამომავლო დანიშნულების განმსაზ-ღვრელი საპარლამენტო კომისია შეიქმნა. კომისიის შემადგენლობაში არიან: საპარლამენტო უმრავლესობის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე,** „ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე, **მამუკა მდინარაძე,** პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, **მარიამ ჯაში,** განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, პრემიერ მინისტრის მრჩეველი **მიხეილ ჩხენკელი,** პარლამენტარი ბექა ოდიშარია, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი **დავით შემოქმედელი,** აკადემიკოსი, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის მრჩეველი **გიგა ბათიაშვილი,** ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ზაზა აბაშიძე.**

5 თებერვალს გაიმართა ამ საპარლამენტო კომისიის პირველი სხდომა. 3 საათიანი განხილვების შემდეგ ავლაბრის ყოფილი რეზიდენციის სამომავლო ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველა-ზე უფრო გამოკვეთილ ვერსიად გამო-იკვეთა, ბატონ გიგა ბათიაშვილისა და დავით შემოქმედელის მიერ დაყენებული წინადადება, რომ აღნიშნულ შენობაში განთავსდეს ქართული კულტურისა და ცივილიზაციის მთელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ამსახველი ქართული კულტურის ცენტრი, როგორიცაა საფრანგეთში „პომპიდუს ცენტრი". ოსაკაში,–იაპონიის სახლი,„ ჰელსინკში – „ფინეთის სახლი", და სხვა. სავარაუდო სახელად მოიაზრება: „საქართველო– რუსთაველის სახლი”, „რუსთაველის სასახლე” და სხვა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნული კომისიის სამუშაო შეხვედრები გაგრძელდება.

# მგლების ხროვამ მონადირე ძაღლები შეჭამა

რამდენიმე დღის წინ, გურიის ერთ-ერთ სოფელში, ორი მამაკაცი ტყეში წავიდა „ძმეხლის“ შესაგროვებლად.. მათ, იმის გამოცდილებით, რომ ამ სოფლელში რამდენჯერმე დაესხა ნადირი ადგილობრივებს, თან სამი მონადირე ძაღლი გაიყოლეს.

სოფელს საკმაო მანძილით იყვნენ გაცილებული, მოულოდნელად ძაღლები ხევში გადაეშვნენ ყეფით. იქ კი, ტრაგედია დატრიალდა. მგლების ხროვამ სამივე ძაღლი შეჭამა.

ადგილობრივების მცდელობა, დახმარებოდნენ მათ ერთგულ მეგობრებს, ამაო გამოდგა.

# წელს სასკოლო ოლიმპიადის ფინალი ოზურგეთში გაიმართება

*მარი კოძოევი*



**შეიძლება ითქვას, რომ სპორტი ოზურგეთში ერთ-ერთი კარგად განვითარებული სფეროა. რა თქმა უნდა, არის პრობლემებიც, მაგრამ სპორტსმენების და მწვრთნელების შრომით და მონდომებით, საშინაო თუ საერთ-აშ-ორისო ასპარეზზე კარგი შედეგები გვაქვს. რამდენად იძლევა განვითარების საშუალებას დღეისთვის არსებული რესურსები და რა სიახლეებია დაგეგმილი ახლო მომავალში? ამ საკითხებზე ოზურგეთის მერიის განათ-ლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი, თამარ აროშიძე გვესაუბრება.**

**თამარ აროშიძე:** 2018 წელი შედეგიანი იყო ჩვენთვის. განსაკუთრებული შედეგები გვქონდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ასევე, კინკბოქსინგსა და რაგბში. ფეხბურთი ხომ ძალიან მოიკოჭლებს ოზურგეთში, მაგრამ პატარა ფეხბუ-რთელებმა თავი გამოიჩინეს. საუბარია 2006-2007- წლიან ბავშვებზე, **გოჩა კრასოტკინის** მოსწავლეებზე. ისე კარგად მუშაობდნენ, მათგან ბევრი თბილისის 35-ე სკოლამ წაიყვანა. ძალიან შედეგიანი გასვლები ჰქონდათ, აბსოლუტურად ყველა მოიგეს. მათი წარმატება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენთან ფეხბურთი ძალიან ცუდ დღეშია.

**– რა სიახლეები დაინერგა გასულ წელს?**

–ჩოგბურთის სექცია გააქტიურდა. ამ მიმართულებით რამდენიმეწლიანი ჩავარდნა იყო. გასულ ზაფხულს მივიღეთ 30-მდე ბავშვი. სამი პედაგოგი ჰყავთ: გივი სიამაშვილი, მამუკა კილაძე და დათო თავართქილაძე. ჯერჯერობით მხოლოდ ადგილობრივი ტურნირები ტარდება, მაგრამ მთავარია, ჩოგბურთი პაუზის შემდეგ ისევ გააქტიურდა.

**– კიდევ რას გამოარჩევდით 2018 წელს?**

–ბევრმა არ იცის, რომ ძალიან კარგი მოფარიკავეები გვყავს. სოფელ შრომაში აქვთ კლუბი გაკეთებული. კარგ პირობებიში არ არიან, მაგრამ შედეგები აქვთ არნახული. საქართველოს ნაკრების წევრები არიან. ბევრი ვიშრომეთ, რომ ელემენტარული საჭირ-ოებები დაგვეკმაყოფილებინა. საქართველოში ფარიკაობისთვის საჭირო ინვენტარის შეძენაც კი შეუძლებელია. ჯერ ამერიკიდან გამოვიწერეთ, დიდი ხანი ველოდეთ, მერე ევროპიდან გამოვიწერეთ. მოკლედ, შესაძლებლობები მწირია, მაგრამ გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. თვითონაც ბევრს ცდილობენ **მალხაზ კვაჭაძის** თაოსნობით. მალხაზი მართლა თავდადებულია თავისი საქმისთვის. როგორც კრასოტკინს ფეოლას ვეძახით, ისევეა მალხაზი თავის სფეროში. ყველაფერს თავისი ხელით აკეთებს, არემონტებს. სხვაგვარად ძალიან რთულია. ძალიან ძვირადღირებული ინვენტარია. საშუა-ლო დონის ერთი კომპლექტი 1 000 ლარი ღირს.

**– წარმატებულად დაიწყო 2019 წელი. პირველი მნიშვნელოვანი წარმატება თურქეთის ტურნირი იყო.**

–დიახ. ოზურგეთელმა **ლევან ქავჟარაძემ** სტამბულში ოქროს მედალი მოიპოვა. ვუპასპინძლეთ საქართველოს პირველობას ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ეს ოზურგეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ფედერაციამ სპონტანურად გადაწყვიტა პირველობის ოზურგეთში ჩატარება. ვეცადეთ, ჩვენი მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა ყოფილიყო. მგონი კმაყოფილები დარჩნენ. ჩვენმა მოჭიდავეებმა ორი მედალი მოიპოვეს. წელს კიდევ ერთ მნი-შვნელოვან ღონისძიებას ვუმასპინძლებთ. ოზურგეთში ჩატარდება სასკოლო ოლიმპიადის ფინალი. ძალიან ბევრი ბავშვი ჩამოვა. ურეკში დაბინავდებიან. თამაშების შუალედებში გვაქვს დაგეგმილი ბევრი კულტურულ-ტურისტული ღონისძიება. შარშან ძალიან კარგად იასპარეზეს ოზურგეთელმა ბავშვებმა. მეორე სკოლის მოსწავლეები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ფეხბურთში. რეგიონულ შეხვ-ედრებშიც ძალიან კარგი შედეგები ჰქონდათ ოზურგეთელ ბავშვებს. საერთოდ ძალიან აქტიურად ვართ ჩართული სასკოლო ოლიმპიადებში.

**– რამდენია თქვენი ბიუჯეტი, რამდენად იძლევა განვითარების საშუალ-ებას არსებული რესურსი?**

– ცოტა გაგვეზარდა ბიუჯეტი. ჩვენ განყოფილებას მთლიანობაში 70 000 ლარი აქვს. აქედან 55 000-ზე ცოტა მეტი კონკრეტულად სპორტზე.

**– კონკრეტულად რა მიმართუ-ლება იქნება თქვენი პრიორიტეტი მიმდინარე წელს. რაზეა გაწერილი ყველა მეტი თანხა?.**

– გამოდის ისე, რომ ჭიდაობას ხმარდება ყველაზე მეტი თანხა.

**– რა საჭიროებები გაქვთ ისეთი, რაც ვერ გვარდება არსებული ფინანსების პირობებში?**

– რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურის მეტად მოწესრიგებაა საჭირო. სპორტული სექციებია უფრო მეტად უნდა განვი-თარდეს. მაგალითად, ბახვის ბავშვებს კარგი შედეგები აქვთ ფეხ-ბურთში, მაგრამ სტადიონი არაა შესაბამისი. ჩვენ მაქსიმალურად ვცდი-ლობთ, მაგრამ, რა თქმა უნდ,ა ყველაფერში არ გვყოფნის თანხა. სხვათა შორის, დეპუტატმა დაგვპირდა რომ ზვანში, სადაც სტადიონია, გაკეთდება კომპლექსი სარაგბო გუნდისთვის, ლაპარაკია კორტების მოწყობაზეც.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში 45 უფასო სექციაა. აღნიშნულ სექციებში სულ 37 მწვრთნელი და 814 სპორტსმენია.

# დვაბზუელები სამხარეულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას ელოდებიან

## „სუფთა წყალი, სუფთა ჰაერი, არავითარი „მოწამვლის დონე!“

რაში. ისინიც აღნიშნულ საწარმოს ედავებოდნენ. ადრე მდინარე ნატანების წყალი ებრაელმა სპეციალისტებმა შეისწავლეს და თქვეს, რომ ეს წყალი ისევე სასარგებლოა, როგორც „ნაბეღლავი“. წყალი რომ ჩამოსხან აქ, გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებენ–განაცხადა დვაბზუელმა **ციცო რუსიეშვილმა.**

–ჭებში წყალი დაშრა, ქარხანა დღისით და ღამითაც მუშაობს. გამონაბოლქვის გამო სულის ხუთვა და თავბრუხვევა გვაქვს –აღნიშნა **მარგალიტა თავდიშვილმა.**

–მდინარე რუს დაემსგავსა, წყლის დონე დაბალია, ზაფხულში ბავშვები ვეღარ ბანაობენ – განაცხადეს **ნათია სალუქვაძემ** და **ირმა ახვლედიანმა**.

საპირისპირო აზრი გამოთქვა „**NEW ROAD**“-ის მუშამ დვაბზუელმა ზურაბ ბაღდასაროვმა:

*– ოც ადამიანს კი არა, ორას კაცს მოვიყვან ახლა დვაბზუდან, ვინც არაფერს ამბობს და თანახმაა ქარხანამ იმუშაოს. ქარხნის ხელმძღვანელობა ყველაფერზე ეხმარება ხალხს: შემთხვევაა რამე, გზის მოხრეშვა თუ შეკეთება დასჭირდებათ, უფასოდ ემსახურებიან.ვის შეუძლია თქვას, რომ აქედან სიკეთის და დახმარების ხელს არ უწვდიან? ჭაში წყალი გაგვიფუჭდაო, ყვირიან. ჭას ამოწმენდა სჭირდება.. აქ გურიაა, სინესტეა. ყოველდღე. ამათ საჩივრებით არბენინე, მეტი არ უნდათ: ალერგია გამიჩნდა, ვერ ვსუნთქავ, გვერდები მტკივა, ჭები დაშრაო...ხომ უნდა გაიგონ ერთხელ და სამუდამოდ ჩვენი ხმა? გვერდები თუ აგტკივდა, ექიმს უნდა ეჩვენო, ჭაში წყალი დაშრაო, რას ამბობენ, რაც უნდა ეხვეწო, აღმართში წამოვა ნატანების წყალი? სამი თვეა არ უმუშავია ქარხანას, აცდენენ საქმის მკეთებლებს.–აღნიშნა* **ბაღდასაროვმა.**

*– დვაბზუს ასფალტ-ბეტონის ქარხანას არანაირი ზიანი არ მოაქვს მოსახლეობისთვის. იგება გზები, ვითარდება ქვეყანა, მაგრამ საიდან გაკეთდება გზები, თუ ასფალტი არ იქნა და ექსპერტიზის ბიურო მოვიწვიოთ და მათ შეამოწმონ, დადგინდეს სიმართლე* - გვითხრა ქარხნის დირექტორმა **ზაზა ცხოიძემ.**

აქციაზე სოფელ დვაბზუს მაჟორიტარი დეპუტატი **როზეტა სკამკოჩაიშვილი,** ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიშვილი** და ლეიბორისტი დეპუტატი **დავით მამალაძე** იმყოფებოდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ხალხის გვერდით დგანან.

დავით მამალაძის განცხადებით, სადაც ბიზნესინტერესია, იქ ხალხი, ეროვნული ინტერესები უკანა პლანზეა გადაწეული..პრობლემის გარკვევაში არასამთავრობო სექტორი უნდა ჩაერთოს.

აქციის მონაწილეებს მოთხოვნებს არ ეთანხმება შპს „გზამშენი 18“-ის დირექტორი **თემურ ჯახვა**. მისი თქმით, აქ 1970 წელს რუსული წარმოების ქარხანა დაიდგა.იყო მტვერი და კვამლი. მაშინ არავინ არაფერს აპროტესტებდა.

*–ახალი ქარხანა ულტრა თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი, ეკოლოგიურად სუფთა საწარმოა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ქვეყანაში. –*გვითხრა **თემურ ჯახვამ.**

აქციაზე გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია** მივიდა და ქარხნის დირექციისადმი მისი თხოვნის საფუძველზე,აქციის მონაწილეებმა ქარხნის ტერიტორია დაათვალიერეს.

*–თუ თქვენ ფიქრობთ, რომ სამხარაულის ბიუროს დასკვნაზე უკეთესი სხვა არ არის ჩვენთან, მოსახლეობის მოთხოვნა უნდა გავითვალისწინოთ და ასეცაა, წავიდეთ ამ გზით, რომ ამ ბიურომ შეამოწმოს, თუ როგორ მუშაობს ქარხნის ფილტრები. თუ სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო იტყვის, რომ არ არის მომწამლავი, მაშინ ქარხანას ხელს ვერ შევუშლით მუშაობაში.*



მდინარეში ხრეში არ ამოვიღეთ? –აღნიშნა ერთ-ერთმა მუშამ **ლევან პაიჭაძემ.**

*– „**NEW ROAD**“-ის ასფალტ ბეტონის ქარხანა ერთ-ერთი უნიკალური საწარმოა კავკასიაში. უახლოესი გერმანული დანადგარებით, ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაა, რომელიც ბუნებრივ აირს იყენებს. ჩვენ შეგვეძლო ჩინური ქარხანა შეგვეძინა, რომელიც 200 ათასი ევრო ღირს, მაგრამ გერმანულ მობილურ ქარხანაზე გავაჩერეთ არჩევანი და 2 მილიონი ევრო გადავიხადეთ. ჩვენი პროექტი რომ ბუნებისთვის, მოსახლეობისთვის საზიანო ყოფილიყო, სახელმწიფო „აწარმოე საქართველო“ ფარგლებში 10 მილიონ ინვესტიციას არ გამოგვიყოფდა. საწარმო წარმოადგენს სხვადასხვა აგრეგატების ერთობლიობას და ტექნოლოგია ითვალისწინებს ბიტუმის, შემავსებლის, ქვიშისა და ღორღის დაკავშირებას სპეციალური ტექნოლოგიით. თანამედროვე საფილტრი მოწყობილობას მინიმუმამდე დაჰყავს ბუნებაში გამონაბოლქვი. პირიქით, მტვერის დამჭერი დანადგარები გვაქვს. მტვერი ასფალტის დამზადების ერთ-ერთი კომპონენტია. ტექნოლოგიური პროცესების მართვა ხორციელდება კომპიუტერებით ოპერატორების მიერ.ყველაფერ ამაზე შესაბამისი სერთიფიკატები გვაქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 28 ადგილობრივი კადრი გვყავს დასაქმებული.*

*კი ბატონო, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი შეიძლება ხმაურის გაზომვაც. არის საათები, როცა ხმაური ნაკლებად ვრცელდება. ასევე გაზომვაც სხვადასხვა დროს უნდა მოხდეს, რომ სრული ციკლი დავინახოთ, ყველანაირად ვეცადოთ, მივიდეთ სიმართლესთან, რა და როგორ სჯობს, ვნახოთ, რა ზიანი ადგება სოფელს –* თქვა **ზურაბ ნასარაიამ.**

თუმცა გუბერნატორის ამ პოზიციას **ლალი** ბასალაშვილის რეპლიკა მოხდა.

*– არ ვიცი, იქნებ სამხარაულის ბიუროსთან საქმე „ჩააწყონ“ და დასკვნა გაყალბდეს...*

*– პასუხი ყველანაირი შედეგის შემთხვევაში აქვთ. ჯერ დასკვნა არ არის და უკვე წინასწარ ამბობს, რომ გაყალბებული იქნება. არანაირი გამონაბოლქვი არ არსებობს. თანამშრომლებს არ უკეთიათ პირბადეები აქ, ადგილზე, ისე მუშაობენ. რაზეა საუბარი. თუმცა, ჩვენ მზად ვართ და თანახმა ვართ, ნებისმიერი მაღალი დონის ექსპერტიზა ჩატარდეს და დადგინდეს. კი ბატონო, ექსპერტიზის ხარჯებს საწარმო გაიღებს, მაგრამ როგორ მოიქცევით ქალბატონო ლალი , თუ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა დადებითი იქნება? –*გაბრაზება ვერ დაფარა **ზაზა ცხოიძემ.**

**ლალი ბასილაშვილის** თქმით, ასეთ შემთხვევაში სოფლიდან გადასახლება მოუწევს, თუმცა სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზის დასკვნას დაელოდებიან.

# ევროპის აივ ინფექციის წევრთა და პარტნიორების შეხვედრა - AIDS Action Europe



2018 წლის ოქტომბერში, ბერლინში გაიმართა -ევროპის აივ ინფექციის წევრების და პარტნიორების (**AIDS Action Europe** )შეხვედრა თემაზე:აივ / შიდსის, ტუბერკულოზის და ვირუსული ჰეპატიტის საერთაშორისო ქსელების როლი, ქალთა მიმართ ზიანის შემცირებაზე.

მინდა გავაშუქო შეხვედრის პირველი თემა: საერთაშორისო ქსელების როლი, ქალთა მიმართ ზიანის შემცირებაზე და გაგიზიაროთ მოხსენებები, რომელიც ასახავს ამ მიმართებით არსებულ მდგომარეობას და გამოწვევებს.

უპირველესად მინდა განვმარტო, რას გულისხმობს ზიანის შემცირების პროგრამა. ის უზრუნველყოფს მომსახურების ფართოს პექტრს ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ნარკოტიკებით გამოწვეული ზიანის შემცირების მიზნით, ჩარევის ორ ყველაზე ეფექტურ საშუალებას შპრიცების გაცვლა და ჩანაცვლების თერაპია წარმოადგენს.

საშა გურინოვამ, (**Deutsche AIDS-Hilfe**, გერმანია) თავის პრეზენტაციაში ხაზი გაუსვა თურატომარის მნიშვნელოვანი გენდერული ასპექტების გათვალისწინება ზიანის შემცირების კუთხით. ყურადღება გაამახვილა ქალთას აჭიროებებზე ზიანის შემცირების მომსახურებაში. ქალები, რომლებიცნარკო-ტიკების მომხმარებლები არიან, უფრო დაუცველნი და უფრო მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ, რადგად აღინიშნება მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებლები, წამლებისადმიდამოკიდებულების სწრაფი პროგრესირება. მაღალია რისკი სქესობრივი გზით გადამდები დააივინფექციის გაზრდისა.

ტრადიციულად, ზიანის შემცირების სერვისები ძირითადად მორგებულია ნარკოტიკების მომხმარებელ მამაკაცებზე და არა კმაყოფილებენ ქალთა საჭიროებებს.

ფარევინა გულიოვას (**NGO Bliss without Risk**,) არასამთავრობო ორგანიზაცია აპირონმა წარმოადგინა სიტუაცია ტაჯიკეთში ტაჯიკეთის რესპუბლიკა ავღანეთის მოსაზღვრეა და შედეგად, ნარკოტიკების ტრანზიტი ქვეყანა არის. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მხარს უჭერს ზიანის შემცირების პროგრამას, ნარკომანი ქალები მაღალი სტიგმის მსხვერპლნი არიან და ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომქალები, ზიანის შემცირების სერვისებს არ გამოიყენებენ.

საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა იათამზე ვერულაშვილმა (**NGO Women Centre**) აღნიშნა, რომ საქართველოში ხელმისაწვდომია ზიანის შემცირების რიგი მომსახურება, მათშორის, ნაწილი უსასყიდლოდ დანაწილი - სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსების, ან პაციენტის მიერ ანაზღაურების საფუძველზე. საერთოჯამში, მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ როგორც დეტოქსიკაციის მომსახურებით (რომელიც-ფიზიკური დამოკიდებულების, აბსტინენციის სინდრომის მოხსნას უზრუნველყოფს), ისე ჩანაცვლებითი თერაპიით (მეთადონი და ბუპრენორფინი). ასევე, უსასყიდლოა ზიანის შემცირების პროგრამების ფარგლებში (ან სხვა სარისკო ქცევის მქონე ადამიანებისთვის) აივინფექცია/ შიდსზე გამოკვლევა (და მკურნალობა), ნემსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამები, რიგი სამედიცინო და არასამედიცინო სახის საკონსულტაციო და საინფორმაციო/ საგანმანათლებლო მომსახურება.

ი. ვერულაშვილმა აღნიშნა რომ ქალები, რომლებიც იყენებენ ნარკოტიკებს, განიცდიან ორმაგ სტიგმას, როგორც ადამიანი, რომელიც იყენებს ნარკოტიკებს და როგორც ქალი, რადგან ქალი ნარკომანი არ არის მიღებელი საზოგადოებისთვის. მხოლოდ ქალების პატარა პროცენტს აქვს ხელმისაწვდომობა ზიანის შემცირების მომსახურებაზე. რომლებიც პროგრამაში არიან ჩანთულნი, არიან დისკრიმინაციის ქვეშ, ნარკოტიკების მომხმარებელი მამაკაცებისგან და ტოვებენ პროგრამას.

თავის მოხსენებაში ხანა მანილოვამ ( **GO Bliss without Risk**,)წარმოადგინა მუშაობა სექსუალურ მუშაკებთან . მობილური კლინიკის მომსახურების ფართო სპექტრიდა არა მხოლოდ ჯანდაცვის მომსახურება, არამედ უპირველეს ყოვლისა, უფლებების დაცვაც ნარკოტიკების მოხმარებელი სექსმუშაკებისა.

შემუშავდა რეცომენდავიები, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სიტუაციის გამოსასწორებლად.

- ყურადღება მიექცეს ქალთა ხელმისაწვდომობას ჯანდაცვისა და ზიანის შემცირების მომსახურებებზე, რისთვის აუცილებელია ცალკე შეიქმნას ქალებისთვის ზიანის შემცირების პროგრამა და ცალკე შენობაში განხორციელდეს;
- სამშობიარო სახლის ექიმების და პედიატრების გადამზადება მშობიარობის მართვის და ახალშობის რეაბილიტაციაზე;
- ქალთა ჩართულობა სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- არსებული სერვისების გაუმჯობესება;
- "საბავშვო კუთხის" შექმნა;
- ქალების თვითდახმარების ჯგუფების შექმნა და უსაფრთხო ინექციის მოხმარების უნარ-ჩვევებისსწავლება, რადგან ქალები საკმაოდ ხშირად, მათი პარტნიორების მიერ გამოყენებულ მეორად ნემს სიყენებენ ;
- ბავშვზე ზრუნვის კონსულტაციების შემოღება,
- ახალგაზდა გოგონების ჩართვა პრევენციულ ღონიძიებებში;

**იათამზე ვერულაშვილი,**

პროფესორი

დამოუკიდებელი ჟურნალისტი

„ქალთა ცენტრის“ დირექტორი

ღ

# რეფორმა რეფორმისათვის თუ უკეთესობისათვის?

ბოლო პერიოდში ქვეყანაში საპენსიო და განათლების სისტემის რეფორმებზეა საუბარი. ერთი უკვე დაინერგა - საპენსიო ფონდის მიერ ჩვენი ნებართვის გარეშე ჩვენი ფულის განკარგვის უფლებით, მეორე - ჯერ სამსჯელოდ შემოგვთავაზეს. გამოსაშვები გამოცდების გაუქმება და სკოლებისა და უნივერსიტეტებისთვის მეტი უფლების მინიჭება - თავად განსაზღვრონ ვინ მიიღებს ატესტატს და ვინ მოხვდება უნივერსიტეტში, საზოგადოების ნაწილისათვის წარსულში დაბრუნებაა, ნაწილისათვის კორუფციის კერების გაჩენის ახალი საფრთხე, ნაწილისათვის უსამართლო გარემოს შექმნა, ნაწილისათვის კი დროული და პოზიტიური გადაწყვეტილება.



ხალხის აზრი სკოლაში გამოცდების გაუქმებასთან და უნარების გამოცდის არჩევითობასთან დაკავშირებით ოზურგეთში ასეთია:

**მაია მეგრელიშვილი**, *ოზურგეთის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი, თბილისის მასწავლებელთა სახლის ტრენერი:*

„ - რეფორმის მიზანი უკეთესობისაკენ სვლაა... ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რეფორმა განხორციელდა, მაგრამ უკეთესობა არ ჩანს.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას სისტემური ცვლილება სჭირდება. გამოცდების გაუქმება ბავშვებისთვის სასიხარულო და მშობლებისათვის ეკონომიკურად განტვირთვის საშუალებაა, მაგრამ მთავარი კომპონენტები ამ რეფორმისა მაინც უნდა იყოს: მოსწავლეთა რაოდენობის შენცირება კლასებში, პროგრამების შეცვლა და სახელძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესება, „სკოლების გაახალგაზრავება", მასწავლებელთა გადამზადება.

ვიმედოვნებ, რომ დღევანდელი რეფორმა სწორი გზით მიდის, სწავლა არა გამოცდებისათვის - არამედ ცოდნისა და გამოყენებისათვის.

ჩემი აზრით, არც მასწავლებლებს სჭირდებათ გამოცდები. მათ უნდა ვასწავლოთ ახალი მეთოდები, რათა ახალი აქტივობებით, მოტივირებული და საინტერესო გაკვეთილებით მივაწოდოთ ახალი მასალა მოსწავლეებს. მასწავლებელი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს, ამის მიღწევა გამოცდების გარეშეც შეიძლება.

როცა მასწავლებელი ათეული წლებია ასწავლის სკოლაში, აქვს მიღწევები და წარმატებები, არის საუკეთესო პედაგოგი და მხოლოდ იმიტომ, რომ გამოცდაზე არ გავიდა, სირცხვილია „პრაქტიკოსი" ვუწოდოთ და არა მასწავლებელი. ნუ დავუკარგავთ ამ ადამიანებს მიღწევებს. მასწავლებლის სტატუსს მოსწავლეები გვაძლევენ და არა გამოცდები.

იმედს ვიტოვებ, რომ ამ რეფორმას მოყვება მომავლის მასწავლებელი და წიგნიერი თაობა.

**კოტე სალუქვაძე**, *იურისტი:*



„ - მე რამდენადაც ვიცი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნარების ჩაბარება იქნება არა სავალდებულო, არამედ არჩევითი. ეს ცვლელება მე არ მომწონს, ბარდება საბაზისო უნარები, ყველა ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანმა უნდა შეძლოს მისი ბარიერის გადალახვა. უნარები ყველა პროფესიის ადამიანს სჭირდება. მისი გაუქმება მოზეპირე პროფესიონალებს მოგვცემს, რომლებსაც არ შეეძლებათ მოვლენების განჭვრეტა.

ვერც სკოლაში გამოცდების გაუქმებას მივესალმები. გამართული განათლების სისტემა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა. გამოცდების მოხსნა მოსწავლეს საშუალებას აძლევს არ ისწავლოს რაღაც საგნები და გააიოლებს უმაღლესში ჩაბარებას, მივიღებთ დაუსაქმებელი დიპლომიანი ადამიანების რიცხვის ზრდას, რაც ისედც პრობლემაა უკვე.

**ოთარ კუტალაძე**, *რეჟისორი:*



„ - მე მიმაჩნია, რომ დროულია ეს რეფორმა, რადგან ბავშვები იძულებული ხდებოდნენ ესწავლათ საგნები, რომლებიც მათ სამომავლოდ არაფერს აძლევდა. ზოგადი განათლება აუცილებელია, თუმცა მეტი აქცენტი უნდა კეთდებოდეს სამომავლოდ არჩეულ პროფესიასთან შესაბამისობაში მყოფ საგნებზე.

ახლა ბავშვი იძულებულია მოემზადოს მეტ საგანში, დარბიან რეპეტიტორებთან ვერ ასწრებენ, მშობლებისთვისაც მძიმე ტვირთია ეს ფინანსურად. ეს რეფორმა საშუალებას იძლევა უკეთ განაწილდეს დრო და შესაძლებლობები.

**ნინო ცერცვაძე**, *№5 საჯარო სკოლის მასწავლებელი:*



„ - საატესტატო გამოცდების გაუქმებას მივესალმები, რადგან აბიტურიენტი მაინც აბარებს უმაღლესში მისაღებ გამოცდას. ასევე მისასალმებელია უნარების გამოცდის არჩევითობა უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად, რადგან ეს საგანი ჯერ არ ისწავლება სკოლაში. ვნახოთ რას შემოგვთავაზებს განათლების სისტემა საბოლოოდ. მიზანი მხოლოდ სწავლის, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაა."

ჩაიწერა
**ლია კილაძემ.**

---

# ჯემალ (დავით) დობორჯგინიძე

## ციკლიდან ტერენტი გრანელის უკანასკნელი მონოლოგები სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში

*ციკლიდან ტერენტი გრანელის უკანასკნელი მონოლოგები სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში*



**მარადიული პატიმარი**
***ვუძღვნი ტერენტი გრანელის-გულმხურვალე ჭირისუფალს ლერი ალიმონაკს***

ლექსებით ცამდე ვმაღლდები,
არ მიშვებს მიწა წყეული.
ყოველ რითმაში ვსახლდები
ბედისგან გამომწყვდეული.
ტანს მიჟრიალებს საწუთრო,
როცა ვღელდები, მაბამენ,
პირში ვგრძნობ ცრემლებს მომწუთხოს,
ცას როგორ შევწვდე, აბა, მე.
არც ქალი და აღარც ღვინო,
მეალერსება რითმები,
სანამდე უნდა ვითმინო —
რითმებით ისე ვითვრები.
პოეტი ვარ და საწუთრომ
მიბოძა ბედი თავხედი,
კი ვიცი, ჯობდა სად უფრო
ოცნებით გადასახედი.
ლექსებით ცამდე ვმაღლდები,
არ მიშვებს მიწა წყეული,
ყოველ სტრიქონში ვსახლდები,
ლექსში ვარ გამომწყვდეული.

### ნეტავ, სად არის ის ქალი?

ღარიბი, არა ქვაწვია
ვარ ბედთან შეურიგალი,
მეოცნებე რომ მაწვია,
სად არის ნეტავ ის ქალი?
ვიყავი ლექსით მდიდარი,
ვწვდებოდი ლაჟვარდს იმედით,
საუნჯე — არავითარი,
სიღარიბეში ვინთქმები.
ქალს უნდა კარგი მეუღლე,
ბინა და სამკაულები,
მამრს შეხვდეს, ბედით მოუღლელს,
დარდი არ ჰქონდეს სრულებით.
ვინ ტერენტი და სად ბედი,
ქალო, შენ რად არ იცოდი,
ბედ-ტალკვესით, ვით აბედით,
რითმა-რიტმებით ვიწვოდი.
ღარიბი, არა ქვაწვია,
ვარ ბედთან შეურიგალი.
მეოცნებე რომ მაწვია,
ღმერთო, სად არის ის ქალი?

### თბილისი — პოეტების მექა

დამტანჯა სულის ჭლექმა,
თვალებო, ზღვა ცრემლები გედინათ.
თბილისი — პოეტების მექა,
თბილისი — პოეტების მედინა.
მთაწმინდა — პოეტთა კვარცხლბეკი,
მტკვარი — პოეტების ემბაზი,
ოცნებით ნაწვნევი ვარ მეგრი,
ერთ ალალ პოეტად შევფასდი.
ცრემლები კვლავ წვავენ ტუჩებს,
კოლხეთიც დავლაშქრე ოცნებით,
საფლავებს და ღამით ქუჩებს
ვეწვევი მთაწმინდას მგოსნების.
დამტანჯა სულის ჭლექმა,
თვალებო, მწუთხე ცრემლით გედინათ,
თბილისი — პოეტების მექა,
თბილისი პოეტების მედინა.

### ჩემი ცრემლი მტკვარს შეუერთეთ

ჩემი ხვედრი არ შეგშურდეს,
სახე დამწვა სულ ალმურმა,
ჩემი ცრემლი მტკვარს შეუერთე,
გეხვეწები, სურამულავ!
სურამის ციხეს უამბე,
როგორ მტანჯავს პოეტს ბედი.
საწოლს ზეწრებით მიმაბეს —
თითქოს აკვანში ვარ, დედი.
მე ოცნებით კვლავ ცაში ვარ,
ქალწულივით ვკოცნი ლაჟვარდს,
ხშირად, ვით ყრმა, აკვანში ვარ,
სულით ცაში ვცდილობ ნავარდს.
ჩემი ხვედრი არ შეგშურდეთ —
სახე დამწვა სულ ალმურმა,
ჩემი ცრემლი მტკვარს შეუერთე,
გეხვეწები, სურამულავ!
და თბილისში როცა ჩახვალ,
მტკვარო თავზე შემოგევლე,
შევებრალები, ვიცი მრავალს,
რომ იხილავს მგოსნის ცრემლებს.

### ჩემი ხვედრი

ტანზე მემოსა ძონძები,
ვიყავი ხშირად მშიერი.
სულში მყავს ანგელოზები,
მაქვს წრფელ პოეტის იერი.
ქუჩა და სასაფლაოა
ჩემთვის არე და სავალი,
ცრემლებით ვძღები, ამოა,
ვწუხვარ, რომ მკიცხავს მრავალი.
თბილისს სამოთხეს ვადარებ,
თუმცზოგჯერ ჯოჯოხეთია.
ჩემს ხვედრს რა გამოანათებს,
განვაგრძობ მარტო ხეტიალს.
მწამს, მაქვს ნიჭი და უნარი,
რომ შევფასდები მერე თქვით:
„იყო ლექსგაუხუნარი
ჩვენი გრანელი ტერენტი."

### შალვა დადიანს

„ბატონო შალვა, ჭამა და ჩაცმა
ბავშვმაც კი იცის, არა თუ კაცმა.
მაგრამ არ იცნობთ თქვენ სიღარიბეს,
რომელიც არის პატარა ჯვარცმა."

### მაქვს სამოსელი რომ შევიმოსო?

არ მაქვს პურღვინო, როგორ ვილხინო?
არც ცის მანანა (ერს ერგო მოსეს),
რომ თავადურად წავილიღინო.
ყარიბი ვარ და მეტად ღარიბი,
მიწა ლეიბად, ცაა საბანი,
მზე — დად, მთვარეა ჩემი არიფი,
წვიმა ჭუჭყიან ტანის დამბანი.
ჩემი სიმდიდრე ჩემი ლექსია,
რითმა და რიტმი სამკაულები,
რაც მიმღერია და მიკვნესია,
მაკმაყოფილებს პოეტს სრულებით.
მაქვს სამოსელი, რომ შევიმოსო?
არ მაქვს პურღვინო, როგორ ვილხინო?
არც ცის მანანა (ერს ერგო მოსეს),
მე ვტირი, როგორ წავილიღინო?

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# ეგნატე ნინოშვილი ოზურგეთში

### მწერლის დაბადებიდან 160 წლისთავის გამო



***„სიცოცხლე ხანმოკლე, ხანგრძლივი და ნაყოფიერი“ - ასეთი მოკლე პოეტური ფრაზით შეაფასა აკაკი წერეთელმა მე-19 საუკუნის გამოჩენილი მწერლის ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.***

ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი) დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ყელაში, 1859 წლის 17 თებერვალს. მამა თომა საბატონო გლეხი იყო. გლეხის წრიდან იყო გამოსული დედა - ნინო ბარამიძე. ოჯახში ეგნატე ერთადერთი ბავშვი იყო, დედა ოთხი თუ ხუთი თვის ასაკში გარდაეცვალა. მამიდა ნინომ დედობრივი ამაგი დასდო და მშობლიური ალერსითა და ზრუნვით აღზარდა (ამიტომაც გახდა მწერალი ნინოშვილი). მან შეასწავლა 7-8 წლის ეგნატეს ანბანი. თავის ავტო-ბიოგრაფიაში ეგნატე წერდა: „7-8 წლის ვიქნებოდი - მამიდამ „წამიყვანა მდინა-რეზე, ჩამადგმევინა ფეხი წყალში (მდინარეში იმიტომ აყენებდნენ ბავშვს, რომ, როგორც წყალი მიედინება, ისე გაბმულად ისწავლის კითხვას და როგორც წყალია სუფთა, ისე სუფთად მიეჩვევა წერასო, რაც ძველ წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებთან უნდა იყოს დაკავშ-ირებული და, ალბათ, აქედან არის ქართული გამოთქმა წყალივით იცისო.) და დამაწყებინა „ან“-„ბან“-ის კითხვა“ კარანდაშით დაწერილ ნაგლეჯ ქაღალდზე (ეს ანბანი მამაჩემმა მოიტანა, წინა დღეს ერთს აზნაურიშვილს დაეწერა მისთვის). ამ კარანდაშით დაწერილი 34 ასოს გარდა, სხვა დაწერილზე დახედვა, აგრეთვე წერის დაწყება აკრძალული მქონდა, რადგანაც, მამიდას ფიქრით, სწავლაზე ხელს შემიშლიდა. ანბანის გაზეპირების შემდეგ წამიყვანეს ერთ აზნაურის ოჯახში ღვდე-ლთან. აქ ღვდელი მასწავლიდა რაღაც ლოცვებს. მხედრული წერა-კითხვა თვითონ ღვდელმა არ იცოდა და არც შეეძლო ჩემთვის ესწავლებინა და არც მასწავლიდა, თუმცაღა სახლში ბავშვობისას ძრიელ და ფუფუნებით და სათუთათ აღზრდილ ვიყავ, მაგრამ აზნაურ ღვდლის ოჯახში (დიდი-ჯალაბიანი იყო) აუარებელ საქმეს მაკეთებინებდნენ. ერთ წამს არ მასვენებდნენ, ნახევარი წლის შემდეგ ღვდელთან ყოფნისა მშობლებმა გამგზავნეს ქალაქ ფოთს, ამ ღვდლის ძმისწულთან, რომელსაც ქალაქ ფოთში ხის ვაჭრობა ჰქონდა, მთელი ერთი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული ვეგდე ამ ვაჭარი აზნაურის სამზარეულოში და ვაცხობდი მისი ბრძანებით მჭადს. წერა-კითხვის ან სხვა რამეს სწავლა კი ჩემთვის აღარსად იყო. ამ დროს მშობლებმა (ბიძამ) მომაშორა ამ საშინელ მდგომარეობას, წამომიყვანა შინ და მიმცა სოფლის სასწავლებელში.

1871-1875 წლების განმავლობაში ხან შინ ძროხებსა და ცხვრებს ვმწყემსავდი და ხან დრო-გამოშვებით შკოლაში დავდიოდი. ერთი შკოლიდან შემდეგ გადავედი მეორეში, რადგანაც მამაჩემი კამელარიის აღწერის დროს მიაწერეს მეორე სოფელს, მასწავლებლები ამ სოფლისა არც ერთი არ იყო სახეირო, თუმცა-ღა პირველი მეორეს სჯობდა.

1876 წლის შუა თებერვალში შევედი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში (ახლანდელი №1 საჯარო სკოლა - ავტ.) .მიმიღეს მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში, ვსწავლობდი გაკვეთილებს ამ განყოფილებისათვის და აგრეთვე ვემზადებოდი მოსამზადებლიდან პირდაპირ მეორე კლასში გადასასვლელად. იმავე წელს, ეგზამენების დროს მართლაც გადავედი მეორე კლასში, შემდეგ წელს გადავედი მესამეში. გადავედი თუ არა მეოთხე კლასში, გამოველ სასწავლებლიდან.“(იოსებ მეგრელიძე „ეგნატე ნინოშვილი“, გვ.42-43).

ოზურგეთში ეგნატეს სულიერ და მატერიალურ მდგომარეობას დეტალურად გადმოგვცემს ესმა თოთიბაძე, რომლის სახლშიც ცხოვრობდა იგი: „14 წლის გამათხოვეს სინო (სიმონ) თოთიბაძეზე, ოზურგეთში, ვცხოვრობდით ახლა რომ სადგურია მატარებლის, იმის ზევით, მაღლობზე. რომ მიმიყვანეს, ეგნატე არ დამხვედრია, ის ჯერ ცხოვრობდა მანასე თოთიბაძისას, შემდეგ გადმოვიდა ჩვენსას, რადგან სამი ძმები მელუები გვედგა მაინც. მელუები იძლეოდნენ თვეში 4 მანეთს და საჭმელი მისაჭმელით მოჰქონდათ. რადგან ღარიბი იყო, ეგნატეს ფულს არ ვახდევინებდით, ხოლო რაც კი შეეძლო, საჭმელი მასაც მოჰქონდა შინიდან.

ეგნატე იქნებოდა ჩვიდმეტ წლამდე, სუსტი, მომაღლო ტანის, ძაან ხმელი, ბეჭები მოხრილი და ვიწრო, გრძელი პირსახის, იდგა მათთან (მელუებთან) ერთად ბინაზე ჩვენსას და ოთხივე დადიოდა კლასში. გავიდა წელიწადნახევარი და

გვ-7

# 1841 წლის აჯანყება გურიაში

**იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით**

გაგრძელება დასაწყისი გაზ. „ალიონი“ №5




კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი **პაველ კოცებუ** 1841 წლის 12 სექტემბერს კავკასიის მთავარსარდალ ევგენი გოლოვინისათვის გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ გურიის აჯანყება გამოიწვია ახალმა საგადასახადო სისტემამ და გავრცელებულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ მალე დაიწყებოდა მოსახლეობის ქონების საყოველთაო აღწერა. გენერალი დაასკვნის, რომ ამ ორი მიზეზის გამო აჯანყება მაინც ვერ დაიწყებოდა, რომ არა გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ გურიაში რუსეთის ჯარის უმნიშვნელო კონტიგენტი იდგა. ამ ხმების გავრცელებას კი კოცებუ ოსმალეთს, კონკრეტულად, ქობულეთის სანჯაყის მმართველ **ჰასან თავდგირიძეს** მიაწერს. სავსებით ცხადია, რომ ნიკოლაი მურავიოვი და პაველ კოცებუ გურიის აჯანყების ჭეშმარიტ მიზეზებზე ვერ ისაუბრებდნენ და აჯანყების მთავარ მიზეზად გურიის სამთავროს გაუქმებასა და რუსულ მმართველობის შემოღებას ვერ დაასახელებდნენ. აქედან გამომდინარე, გურიის აჯანყებას ეროვნულ მოძრაობად არ მიიჩნევდნენ.

გურიის მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია 1840 წლის რეფორმის ძალით დაწესებულმა სამაზრო მმართველობის სისტემამ. ოზურგეთის მაზრის მმართველობაში თავიდანვე დამკვიდრდა ყველა მანკიერება, რაც რუსულ ადმინისტრაციულ მმართველობას გააჩნდა, პირველ რიგში – ბიუროკრატია. განუსაზღვრელი დროით ჭიანურდებოდა საქმეების განხილვა. 1841 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის დამლევამდე ოზურგეთის მაზრის მმართველობას 4.000 საქმე განუხილავს, ამ პერიოდში მმართველობაში 12.800 თხოვნა, საჩივარი და სხვა ხასიათის დოკუმენტი შემოსულა, ხოლო მმართველობიდან 13.000 დოკუმენტი გასულა. გურიის მაზრის მმართველობის შენახვა ძალზე ძვირი ჯდებოდა. 1840 წლამდე არსებული გურული თავადების საბჭოს (დროებით მმართველობის) თავმჯდომარეს წელიწადში სარგოს სახით 600 მანეთი ეძლეოდა, ხოლო 1840 წლის 10 აპრილის კანონით დამტკიცებული შტატით გურიის მაზრის მმართველობის შენახვა 13.195 მანეთი ჯდებოდა.

მოკლედ შევჩერდეთ საგადასახადო სისტემის ცვლილებაზე, რომელიც ასევე გურიის სამთავროს გაუქმებასა და რუსული მმართველობის შემოღებას უკავშირდება, ე.ი. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამოვლინებას წარმოადგენს. 1841 წლამდე გურიაში ორი სახის გადასახადი იყო: 1. **სასურსათო ბეგარა** (გადასახადი ნატურით, სურსათით), რომელიც შეწერილი იყო კომლზე; 2. **საერობო შრომითი ბეგარა** (გზების გაყვანა და შეკეთება, არხების გაყვანა და გაწმენდა, ხე-ტყის დამზადება, სხვადასხვა სახის მომსახურეობის აღმოჩენა რუსეთის ჯარისათვის, სახალხო ლაშქარში (მილიციაში) სამსახური და სხვ.). 1841 წლიდან გურიაში პირველად შემოიღეს **სულადობრივი** გადასახადი და ყველა ნატურალური და საერობო ბეგარა გაერთიანდა ერთ **ფულად გადასახადში**. სახელმწიფო გლეხებს თითო სულზე უნდა გადაეხადათ 1 მანეთი, ხოლო საბატონო და საეკლესიო გლეხებს – 50 კაპიკი ვერცხლით. გარდა ამისა, საერობო შრომითი ბეგარის ნაცვლად სახაზინო გლეხებს ყოველ კომლზე უნდა გადაეხადათ 35 კაპიკი, ხოლო საბატონო და საეკლესიო გლეხებს – 9 კაპიკი. ახალმა საგადასახადო სისტემამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თავადებმა და აზნაურებმა ხელისუფლებას ოფიციალურად მოსთხოვეს: სულადობრივი გადასახადის მაგივრად დააწესეთ კომლობრივი, მცხოვრებთა შეძლების მიხედვით გადასახადი, რაც უფრო შეეფერება ჩვეულებასა და ზნეობას“. გლეხობა უკმაყოფილო იყო იმით, რომ ფულის შოვნის წყარო არ გააჩნდა, რის გამოც მას ნატურით გადასახადი ერჩია. გარდა ამისა, ახალი საგადასახადო სისტემით, გლეხობა ნატურით გადასახადისაგან გათავისუფლებასთან ერთად, საერობო შრომითი ბეგარისაგანაც უნდა გათავისუფლებულიყო და ერთიანი ფულადი გადასახადი გადაეხადა. გლეხობა ფულად გადასახადს იხდიდა, მაგრამ საერობო შრომითი ბეგარისაგან მაინც არ ათავისუფლებდნენ. გლეხობის, აზნაურებისა და თავადების უკმაყოფილებას გურიის მაზრის მმართველობა არად აგდებდა და ახალ საგადასახადო სისტემას ძალით ამკვიდრებდა. გლეხების პროტესტს იწვევდა ისიც, რომ ხაზინა გადასახადს რუსული ფულით ითხოვდა გურიაში კი მიმოქცევაში ძირითადად ოსმალური ვერცხლის ფული იყო. ურჩ გლეხებს ხელისუფლება ყოველგვარი სასამართლო გარჩევის გარეშე საპატიმროში ათავსებდა. ახალი საგადასახადო სისტემით გამოწვეული უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა. ამას დაერთო გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ გურიაში რუსული მმართველობის შემოღებას მალე მოჰყვებოდა გლეხთა რუსულ ჯარში რეკრუტის წესით (25-წლიანი სამხედრო სამსახური) გაწვევა. მოსახლეობაში რუსულ ჯარში გაწვევა დიდ უბედურებად იყო მიჩნეული, რამაც ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა.

კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი **პაველ კოცებუ** გურიის აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდა ქობულეთის სანჯაყის მმართველ **ჰასან ბეი თავდგირიძის** მიერ გავრცელებულ ხმებს, რომ გურიაში თითქოს რუსეთის მცირერიცხოვანი ჯარი იდგა. ჰასან ბეი თავდგირიძე გურიაში პოპულარული კაცი არ ყოფილა. ისლამის რჯულზე მოქცეული გურულითავადი, ჰასან ბეი თავდგირიძის მამა **მემედი**, ოსმალებმა ქობულეთის სანჯაყის ბეიდპთველად) დანიშნეს. მემედ ბეიმ თავი იმით გამოიჩინა, რომ ქობულეთი გურული ყაჩაღების თავშესაფრად აქცია, იგი მფარველობდა ტყვეებით მოვაჭრეებს, ქობულეთში მალავდა გურიიდან მოტაცებულ ადამიანებსა და პირუტყვს. ცხადია, ასეთი ადამიანი გურიაში პოპულარული ვერ იქნებოდა. მემედ ბეი თავდგირიძე იმდენად გათავხედდა, რომ ოსმალეთის მთავრობამ იგი გადააყენა და ქობულეთის სანჯაყის მმართველად მისი ვაჟი **ჰასანი** დანიშნა. ჰასან ბეიმ მამის საძრახისი საქმიანობა გააგრძელა: გურული ყაჩაღების მფარველობა და ტყვეებით ვაჭრობა არ მოიშალა. ამის გამო იყო, რომ მალე ისიც გადააყენეს და სანჯაყის მმართველად მისი ძმა **სულეიმანი** დანიშნეს. სულეიმან ბეი სუსტი მმართველი გამოდგა. ამით ისარგებლა **ჰასან თავდგირიძემ,** ყაჩაღებისაგან ძლიერი რაზმი შექმნა და ქობულეთის სანჯაყიდან ძმის განდევნას შეეცადა. სულეიმან ბეი იძულებული გახდა, ძმას შებრძოლებოდა და თავის მომხრეებთან ერთად ქობულეთიდან გაეძევებინა. მალე ჰასან ბეი ძმას შეურიგდა, მაგრამ ყაჩაღობასა და ტყვეებით ვაჭრობას კვლავ აგრძელებდა. გურიაში რუსეთის ჯარის ჩაყენებამ ჰასან ბეის სამოქმედო ასპარეზი შეუზღუდა. ყაჩაღთა ბანდის მეთაური იმდენად გათავხედდა, რომ გურიაში შეჭრითაც კი იმუქრებოდა. რუსეთის ჯარის მეთაური შეშინდა და სოფელ ლიხაურთან სახელდახელო სიმაგრე მოაწყო. მალე რუსებმა შეიტყვეს, რომ ჰასან ბეი თავდგირიძემ დანაქადები ვერ შეასრულა და გურიის საზღვრებს მოახლოებული უბრძოლველად გაბრუნდა უკან. ზემოთ აღწერილის მსგავსი გურია-აჭარის საზღვარზე წლების განმავლობაში ხდებოდა და, ამდენად, ჰასან-ბეი თავდგირიძის მოქმედება გურიის აჯანყების მიზეზი ვერ გახდებოდა.

**2. აჯანყების სოციალური ბაზა.**

გურიის აჯანყება სოციალური მოძრაობა არ ყოფილა, იგი არ გამოუწვევია გლეხების ჩაგვრას. თავისი ხასიათით აჯანყება ერო-ვნული მოძრაობა იყო და იგი რუსეთის კოლონიურმა რეჟიმმა განაპირობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ისტორიოგრაფია, მანამდე კი საქართველოში მოღვაწე მაღალი რანგის რუსი სამხედროები გურიის აჯანყებას რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ მოძრაობად არ მიიჩნევდნენ. თუმცა რუს სამხედროთა შორისაც მოიძებნებოდნენ ისეთები, რომლებიც აჯანყების უმთავრეს მიზეზად არა საგადასახადო სისტემის შეცვლას, არამედ 1840 წლის 10 აპრილის კანონს და გურიაში ახალი ადმინისტრაციული მმართველობის შემოღებას, და ზოგადად, რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას მიიჩნევდნენ. გენერალ-მაიორი **ოსიპ ანრეპი** წერდა: გურიაში მმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესში ხელისუფლებამ ანგარიში არ გაუწია ადგილობრივ თავისებურებებსო.

**ვახტანგ გურული**

(გაგრძელება იქნება)

## უტყუარი ლოგიკა

### ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მეოთხე კლასელებისაგან ხურჯინით მოტანილი ამბები

# ბიძიებო და დეიდებო, ვისაც გეხებათ, მოგვიასფალტეთ ქუჩა, მოგვიყვანეთ წყალი!

ყველას, განსაკუთრებით პატარებს, გვიხარია, რომ ჩვენი ქალაქი დღითიდღე ლამაზდება. შარშან ბათუმის ქუჩა რომ მოაასფალტეს, გვეგონა, გურიელის ქუჩასაც მოხედავდნენ, მაგრამ „გურიელელები“ რატომღაც ძალიან დავიჩაგრეთ, არც გზა გვაქვს და არც წყალი. ზაფხულში სუფთა ჰაერიც სანატრელი გაგვიხდა. ბავშვები ეზოში ვერ გამოვდივართ, რომ ვითამაშოთ. ასე თუ გასტანა, როცა ჩვენი ბავშვობის წლები ჩაივლის, მოსაგონარი კარგი არაფერი დაგვრჩება.

ბიძიებო და დეიდებო, ვისაც გეხებათ, გაიგონეთ ჩვენი ხმა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა, მოგვიასფალტეთ ქუჩა, მოგვიყვანეთ წყალი. მჯერა, ჩვენს თხოვნას შეასრულებთ, რათა შემდეგში თქვენით ვიამაყოთ პატარებმა.

**ნინო გოგიტიძე.**

# მთავარი ქუჩა ფაქტობრივად უტროტუაროა

როგორც თითქმის ყველა ჩვენს თანაქალაქელს, მეც მიხდება კოსტავას ქუჩით მოძრაობა, მაგრამ ქვეითთა სავალი ნაწილი, ანუ ტროტუარი ისეთ დღეშია, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის მთავარი ქუჩა ფაქტობრივად უტროტუაროა. განსაკუთრებით ჭირს წვიმიან ამინდში გავლა, როცა ტალახისაგან თავის არიდების მიზნით, გადავდივართ ავტომობილების სავალ ნაწილზე, რითაც იზრდება საგზაო შემთხვევების საშიშროება. რამდენიმე ასეთი შემთხვევა იყო კიდეც.

ქალაქის მერს ვთხოვ, იზრუნოს კოსტავას ქუჩის მოწესრიგებაზე, რომელსაც, ჩემი აზრით, ფართო ტროტუართან ერთად, უწყვეტ ზოლად უნდა გასდევდეს მწვანე გაზონი. ამ სასიკეთო საქმეში მე და ჩემი კლასელებიც სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას.

**საბა გერსამია.**

# მონატრება

რა კარგი იქნებოდა, ყველა დედა რომ ახალ წელს თავის შვილს იხუტებდეს. მაგრამ როგორ, როცა ჩვენი დედიკოების უმეტესობა საზღვარგარეთ მუშაობენ და წელებზე ფეხს იდგამენ ოჯახების გასატანად და ჩვენს დასაპურებლად. მეც მათ შორის ვარ, ვისი დედაც შორსაა წასული და მიუხედავად იმისა, რომ შეუდარებლად მზრუნველი ბებო მყავს, რომელიც არაფერს მაკლებს, მაინც ძალიან მიჭირს და მტკივა დედასთან ასე ხანგრძლივად დაშორება.

ნეტავ მალე დადგეს ჩვენს ქვეყანაში ის დრო, ყველა ოჯახში სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვებს დედის სითბო და სიხარული რომ დახვდება.

მალე დედის დღე მოვა. დედი, მე შენთვის ყველაზე ლამაზ მოსალოც ბარათსა და კალათს დავამზადებ, რომელსაც იებითა და ენძელებით გაგივსებ. ძალიან, ძალიან მენატრები და ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ჩემო ლამაზო დედიკო!!!

**ლიზა ჩხარტიშვილი.**


# ქირავდება

ქალაქის ცენტრში (გურიის ქ. №6) კომერციული ფართი (სწველი წერტილით)

პირობების გასაგებად დაგვიკავშირდით:

558 34 80 90.





## სულთათანა

ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ნაილი გრძელიძეს დის **ლონდა გრძელიძის** გარდაცვალების გამო.

კვირიკეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ქალბატონ ნაილი გრძელიძეს დის **ლონდა გრძელიძის** გარდაცვალების გამო

გაზეთი ,,ალიონი‘‘ თანაუგრძნობს ქალბატონ ნაილი გრძელიძეს დის **ლონდა გრძელიძის** გარდაცვალების გამო.

# სკანვორდი




## № 5-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — გილბერტ ჩესტერტონი; ძველმანების გამყიდველი — მატრაბაზი; პურის სოკო — ობი; კორიდის რაინდი — მატადორი; თხელი წყალი მდინარეში — ფონი; პირველი პირის ნაცვალსახელი - მე; ჰოლანდიური საფეხბურთო კლუბი — ტვენტე; ნაცია — ერი; მწვრთნელი — ტრენერი; დამხმარე ჯარი — ნიჯადი; მონადირე ფრინველთა მწვრთნელი — ბაზიერი; ადმინისტრაციული ერთეული — თემი; მუნიციპალიტეტი სამეგრელოში — აბაშა; ფრანგი მწერალი — მერიმე; სოფელი იმერეთში — ბაში; ნივრის ლებანი — კბილი; მესამე პირის ნაცვალსახელი — იგი; საახალწლო დღესასწაული — ბარბარობა; მამაკაცის სახელი — ერმალო; დიდი სალვინე — გოზაური; ლიტერატურული ჟანრი — მოთხრობა; ბებიაქალი — ამქმელი; ჯარისკაცის სამოსი — ფარაჯა; პურეულის სალეწი იარაღი — კევრი; თურქი — ოსმალი; ელექტროხელსაწყო — რელე; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია — საია; შხამი — ზუზია; ანბანის ბოლოსწინა ასობგერა — ჯ; შარდის გამომყოფი ორგანო — თირკმელი; ღმერთი — უფალი; მაღალი ცა — ზეცა; დონკიხოტის ავტორი — სერვანტესი.

## ძველი ოზურგეთის ქრონიკები

# ეგნატე ნინოშვილი ოზურგეთში

### მწერლის დაბადებიდან 160 წლისთავის გამო



ეგნატე ნინოშვილის ბიუსტი.
იაკობ ნიკოლაძე (მარმარილო)

ეგნატე გაგვეყო. ჩვენი ადგილის კუთხეში ფერდზე გამოთხარა მიწა, მოიხმარია მელუები და დადგა ჯარგვალი (ქოხი, კარავი). ასე, ოთხარშინიანი იქნებოდა. ირგვლივ დაასო ოთხი ბოძი და ზეთ აკრა შუაზე გაპობილი შეშები და ფიცრების ნაკიდურა, რომელიც ზოგი ჩვენიდგან წაიღო, ზოგი მანასედან და ზოგიც სხვებმა მისცეს. გადახურა საწყლად და დალ-ობილი ჩელტის კარი შეჰკიდა. ჯარგვალის კარები თითო თითის გორვაზე იყო დაშორებული. შიგ მიწაზე დადო ორი შეშა და ზედ დადვა სამი ფიცრის ნაკიდურა, რომელზეც ტანგაუხდელი წვებოდა, ეცვა ერთი პალტო, ვიღაცის ნაქონი, ძაან გახუნებული და იმით იყო სულ, ტანისამოსს შინაურები ვერ უკერავდნენ. ძველებს აძლევდნენ ხან ჩვენები და ხან მანასესანი. არც ფეხსაცმელი ჰქონდა ეგნატეს. ერთხელ წავიდა შინ და მისთვის შინაურებს ქალამანი შეეკერნათ. ზამთარში ფეხშიშველი ჩამოვიდა და იგი ხელით ჩამოიტანა - გზაზე დაგჯებოდაო. სუფთა ბიჭი იყო საწყალი. გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, როდესაც ძაან სიცივე არ იყო, წავიდოდა ბჟუჟის წყლის პირზე, გაიხთიდა ტანზე, გარეცხავდა ყველაფერს და ტანსაც დაიბანდა. სანამ ტანსაცმელი შეშრებოდა, მიიმალებოდა ბუჩქებში და წიგნს კითხულობდა, ჩაიცვამდა მერე ნახევრად მშრალს და მოვიდოდა შინ.

საჭმელს თვითონ იკეთებდა. ჯარგვალში ჰქონდა კელამიდა (თიხის კეცი), ლიტრა (პატარა დოქი), პატარა ხელგობა და გატეხილი ჩალხანა (თუჯის ქვაბი). კიდევ ჰქონდა კუთხეში მიყუდებული ჟვერის ცოცხი, რომლითაც გვიდა სახლს. ჭადს ზელდა და იცხობდა. თუ იყო მინდორში, მონახავდა მსხალს და მოხარშავდა. ყველს ან ტარანასაც მიაჭმევდა მჭადს... არ იქნებოდა მისი უსაქმოდ გაჩერება, სულ წიგნზე იყო მიციცქირებული, სამკითხველო არ იყო მაშინ, მარა საიდანღაც წიგნები მოჰქონდა და კითხულობდა. ეგნატეს იშვიათად დაინახავდი გაგორებულს (უსაქმოდ წამოწოლილს) ან გათამაშებულს, არც ის მოხდებოდა მისგან, ახალგაზრდა კაცი, რომ ქალებს გაეკიდება, წიგნზე ჰქონდა ჭიპი მიჭრილი. ჩვენსა რომ მოვიდოდა და სიმინდის ფშვნაზე მოგვეხმარებოდა, წიგნს ჯორკოზე (დაბალი სკამი) მიაყუდებდა გადაშლილს და თვალით იმას უყურებდა, კითხულობდა და შლიდა. ღამე-შუაღამემდე კითხულობდა დღე მოამზადებდა ფიჩხს და იმით ინათებდა, რის გამო ხშირად თმაც კი ჰქონდა შერუჯული, აბირბილდებოდა ფიჩხის ცეცხლი, წაიკითხავდა ცოტას და ჩაუქრებოდა, კიდევ შეურთავდა ფიჩხს, ამასობაში წაკითხულს მოყვებოდა, რაც ბევრჯელ გამიგონია, რომ დამიტანებია ყური იქეთკენ მიმავალს...ასე იყო ზამთარშიც.

რა ჰქონდა საწყალს! იყო: მშიერი, მწყურვალე, ჩაუცმელი, დაუხურავი, გაყინული სიცივით, უსინათლოდ და მარტოკა. მაგრამ მაინც კითხულობდა და კითხულობდა. მივეცით ჭრაქი და ნავთსაც ხან ჩვენ, ხან სხვა აძლევდა. გულზე ქინძისთავი ჰქონდა და იმით ამოუწევდა გულს (ფითილს), რომ ჩაიწვებოდა. რომ არ ჰქონდა ნავთი და სხვისი შეწუხება არ უნდოდა, მაინც ფიჩხით ინათებდა. არავის არ აწყენინებდა, ოღონდ ზოგიერთი საყვედურობდა იმისათვის, რომ ფიჩხი მიაქვს ჩემი ეზოდანო. ყანაში კი იშოვიდა საჭმელს, თუ მოეხმარებოდა ვისმეს, მარა შიმშილი ერჩია. ოღონდ კი წიგნი ეკითხა.

წელიწადნახევარი იმ ჯარგვალში იყო, შემდეგ კლასში, რაღაც „უჩენიკების აბუნტება“ დასწამეს და გამოაგდეს იმის გამო. წავიდა საწყალი სადღაც და მისი ჯარგვალი კიდევ დიდხანს იდგა იქა.

შემდეგაც, ეგნატე რომ ჩამოვიდოდა ოზურგეთს, ჩვენთან მოვიდოდა. დასაქცევი დრო იყო და კიდეც დაიქცა, თორემ რას ერჩოდნენ საწყალ ეგნატეს, სიმწრით სული მიჰქონდა, სწავლობდა და ისიც არ დაანებეს... ჩემი შვილი - ნოე თოთიბაძე, ეგნატეს გამო კატორღელი გახთა, გაიცნო ეგნატე და ამან ჩაითრია მუშაობაში. თბილისში სტამბის მუშა იყო ჩემი ვაჟი და ეგნატე დადიოდა მასთან, ეგნატე რომ მოკვდა, ძაან ნაწყენი იყო, შემდეგაც მითხრა: „დედაჩემო, ჩვენსას გაზრდილი ბიჭი, რომელსაც თქვენ უბრალო ეგნატედ იცნობდით, მოწინავე ხალხის ხელმძღვანელი იყო“...(იოსებ მეგრელიძე, „ეგნატე ნინოშვილი“.გვ.80-81).

„1878 წელს შემოდგომა და ზამთარი ოზურგეთს გავატარე, - განაგრძობს თავის ბიოგრაფიას ეგნატე ნინოშვილი, - ჩემს ამხანაგ შეგირდებთან (სილიბისტრო ჯიბლაძესთან და სხვებთან). თუმცა სკოლაში აღარ ვიყავ, მაგრამ გაკვეთილებს მაინც ვსწავლობდი, რაც შესაძლო იყო უმასწავლებლოთ.

1879 წელს გაზაფხულზე წაველ ქუთაისს, სახალხო სკოლის დირექტორთან (მარსოვი იყო) დავიჭირე ეგზამენი სახალხო სკოლის მასწავლებლობისა (მამასახლისის მოცემული შინაური სწავლის მოწმობა მქონდა) და შემ-ოდგომაზე (ოქტომბერში, 1879 წელს) გავემგზავრე ჩემსავე სოფელში (ჩოჩხათის საზოგადოებაში) მასწავლებლათ. 1881 წელს მარტში დავანებე თავი მასწავლებლობას და ვეძებდი რამე საქმეს, იმ დროს ახლათ დაწყებულ ბათომის რკინის გზაზე, მინდოდა ფული შემეგროვებინა და ხელახლა სწავლას შევდგომოდი. შევედი ამხანაგათ ვიღაც „პოდრიაჩიკებთან“ (კონტრაქტორი), მაგრამ ვალების მეტი არა დამრჩენია რა. 1882-1883 წლებში ვიყავი ტელეგრაფისტად იმავე გზაზე. 1884 წელს, ზამთარში ვიყავი თფილისში არსენ კალანდაძის ტიპოგრაფიაში „ნაბორშჩიკათ“(ამწყობი), მაგრამ ჯამაგირი-კი არ მქონია, მხოლოდ ხარჯის ფულს, დღეში 7 კაპეიკს მაძლევდა კალანდაძე, მეტის მოცემა არ შეეძლო, რადგან შემოსავალი მცირე ჰქონდა.

1885 წელი გავატარე ჩემს სახლში: წიგნები და ჟურნალ-გაზეთობა არსად იშოვებოდა.

1886 წელს ექვს თვეს ვიყავი სოფლის მწერლად“.

იმავე წელს, მეგობრების დახმარებით, მიემგზავრება საფრანგეთში.

საფრანგეთში წასვლამდე ოზურგეთში ყოფნისას საინტერესოა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის მოგონება ეგნატე ნინოშვილზე, რომელიც დაცულია ოზურგეთის სამუზეუმო გაე-რთიანების ფონდებში (საქმე 531). „...სადაც საპარასკევო თავდებოდა, იწყებოდა ფართლეულობის და სხვადასხვა სავაჭროების მაღაზიები. პირველი პატარა მაღაზია ეკუთნოდა მამაჩემის კარგ მეგობარ ვაჭარს. ახლა ეს დუქანი გადაკეთებულია წიგნის დიდ მაღაზიად და მაღლა სართულში, მაშინ სრულიად არ არსებობდა, გამართულია ქალაქ მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (მოგონება დაწერილია 1952 წელს მახარაძეში ნინო ნაკაშიძის შთაბეჭდილების მიხედვით). ეს დუქანი, მიუხედავად სიპატარავისა, უნივერმაგს გავდა. ყველაფერი იყო გასაყიდი, რაც ღარიბი ხალხისათვის საჭირო და ხელმისაწვდომი იყო: ფართლეული, ფეხსაცმელები, ქალისა და კაცის ქუდები. ტარანი, ჩიბუხი, შიბაქები. მამაჩემი ამბობდა: ჩემი მეგობარი ვაჭარი პატიოსანი კაცია და ყოველთვის იმისგან უნდა იყიდოს კაცმა ყველაფერიო. სწორედ ამ მაღაზიაში ვნახე პირველად და უკანასკნელად დიდი მწერალი ეგნატე ნინოშვილი-ინგოროყვა.

როცა მაღაზიაში შევედით, ვაჭარმა მამაჩემს უთხრა: ოჰ, იოსებ, რა კარგია, რომ მოხვედი, შენი ნინუცასათვის მშვენიერი „პოლსაბოჩკები“ მაქვს, მამაჩემს ძალიან მოეწონა, მაგრამ სანამ „პოლსაბოჩკებს“ ათვალიერებდა, კაცს მიუახლოვდა. როგორც მახსოვს, ქერა იყო, თხელი, გაბუძგვნილი, მოკლე წვერით, ხელში ყელზე მოსახვევი ჭრელი „კაშნე“ ეჭირა.

- ძალიან კარგია, მაგრამ ძვირია, - უთხრა კაცმა ვაჭარს.

- არა, ძვირი არ არის, ეგნატე, ხომ ხედავ, წმინდა შალია, რბილი, ნამდვილი თივთიკი... მაგრამ შენ რა გაწუხებს, ძვირია თუ იაფი? წაიღე, ფულს არ გახდევინებ.

- აჰ, როგორ შეიძლება, რავა უნდა გაზარალო.

- თუ მოგწონს, წაიღე, ძალიან მაწყენინებ, შენმა მზემ რომ არ წაიღო.

მამაჩემი მივიდა მასთან, ხელი ჩამოართვა და ჰკითხა: როგორ ხარ და რასა იქ, ეგნატე, სწერ რამეს?

- ვჩხრაკნი რაღაცას, იოსებ.

- ახლა საზღვარგარეთ აპირებს წასვლას, - სთქვა ვაჭარმა.

- მართლა, ეგნატე? აბა მაშ და

- რა ვიცი, კი მივდივარ და...

- ახლა ჩვენ ამბებს სწერს, მაშვინ...

- ჰო, მაშვინ პარიზის და პირამიდების ამბებს დასწერს, - სთქვა მამაჩემმა.

ეგნატემ სასიამოვნოდ გაიცინა, თვალებში შუქი ჩაუდგა და სახე დაუმშვენდა.

- შენ, მგონია, იოსებ, გრიგოლ გურიელის ექსპედიციაში იყავი და ეგვიპტეში პირამიდებიც გინახავს. - მიმართა მან მამაჩემს.

მე მათ აღარ ვუსმენდი, მაგრამ დავინახე, როგორ შეუხვია ქაღალდში ვაჭარმა ეგნატეს ჭადრაკული ფერადი ყელსახვევი და პიჯაკის ჯიბეში ჩაუდო.

- კაი, კაცო, კაი, - ეუბნებოდა მას ვაჭარი - თუ ხათრი გაქვს, ნურაფერს იტყვი.

ჩვენ გამოვემშვიდობეთ ვაჭარს და მეორე მხარეს ერდიშახან ქარცივაძის სამიკიტნოსაკენ გავსწიეთ.ერდიშახანს გაუხარდა ეგნატეს დანახვა. გამოუწია ტაბურეტი, დასვა მაშინვე, დაუსხა ერთი მათლაფა ღომი, სულგუნი და მწვანილი დაუდგა წინ.

- ეჰ, რა ამბავია აგი, კაცო, ერდიშახან, გავმდიდრდი გგონია თუ.

-არა უშავს, ეგნატე, საზღვარგარეთ წასვლის წინ, სადილად რომ დაგპატიჟო, დიდი საქმე არ იქნება. სამიკიტნოში ბევრი მესადილეები იყვნენ. დიდი სიამოვნებით შესცქეროდნენ ეგნატეს და სხვადასხვა კითხვებს აძლევდნენ. ეგნატე ყურადღებით ისმენდა და ყველას პასუხს აძლევდა“.

ამის შემდეგ მეგობრებმა შეუგროვეს გარკვეული თანხა და წავიდა საფრანგეთში. მისივე თხრობით: „1886 წელს ნოემბერში (26) წავედი საფრანგეთში (პარ-ახოთ-მინგრელი-მარსელ-ით კაპიტანი ჟიუბენი). გავიარეთ ტრაპიზონი, ორდა, სამსუნი, სტამბოლი და მივედით მარსელში, იქიდან რკინიგზით მონპელიეში. 1887 წლის მარტამდე ვიმყოფებოდი მონპელიეში (მონპელიეში ძალიან გასჭირვებია და, როგორც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, ქუჩებსაც კი გვიდაო).

1887 წლის 25 მარტს დაბრუნდა საქართველოში, აპრილამდე იყო სახლში.

1887 წლის აპრილიდან მუშაობა დაიწყო გრიგოლ გურიელთან მდივნად. იგი უფრო ხშირად გურიელის აგარაკზე იმყოფებოდა, სადაც თავადის ბიბლიოთეკა და არქივიც იყო მოთავსებული. გრიგოლ გურიელი უცოლშვილო იყო. რეზიდენცია ოზურგეთში ჰქონდა, აგარაკი კი - დაბა ლანჩხუთის სოფელ ორაგვეში. იგი ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე გახლდათ. ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, ხელნაწერების კოლექცია და არქეოლოგიური ნივთები (ყოველივე ეს მან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უსასყიდლოდ გადასცა სიცოცხლეშივე).

ეგნატე წერს: გურიელს სამდივნო ცოტა რამ ჰქონდა. იგულისხმება, კვებითაც უზრუნველყოფილი იყო, ჯამაგირად ეძლეოდა თვეში 30 მანეთი. თავისუფალ დროს წიგნებს კითხულობდა და მწერლობაც აქვე დაიწყო.

ფილიპე მახარაძე, რომელიც იცნობდა გრიგოლ გურიელს და ეგნატე ნინოშვილს, წერდა: გურიელის მდივნობის დრო ეგნატემ გამოიყენა მეტად ნაყოფიერად . აქ მან დაწერა ერთ-ერთი შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები - ცნობილი ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“. ბევრი საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ გურიელის ოჯახში ყოფნამ მისცა საშუალება ეგნატეს, გასცნობოდა სხვადასხვა წერილობით მასალებს თუ ზეპირ გადმოცემებს, 1841 წელს გურიაში მომხდარი გლეხური აჯანყების შესახებ“, (იოსებ მეგრელიძე, „ეგნატე ნინოშვილი“.გვ.58-59).

ეგნატე ნინოშვილი დიდხანს არ დარჩენილა გრიგოლ გურიელთან. ამის შესახებ ეგნატეს მეგობარი სიმონ ჭუმბურიძე წერდა: „გრიგოლი პატივს სცემდა ეგნატეს“. მაშ, რაშია საქმე, რომ ეგნატემ ეს პირობები მიატოვა და წავიდა? ამის ერთ-ერთი მიზეზი ხასიათის სხვაობა უნდა იყოს. გრიგოლი ყოვლად პატიოსანი კაცი იყო. იმას ყველა ქართული და რუსული საუკეთესო გამოცემები მოსდიოდა“. ეგნატესაც კარგად ექცეოდა, მაგრამ უნდა გეყურებინათ იმათი დაობა რაიმე საქმის შესახებ. გრიგოლს უყვარდა, როდესაც კაცი დაობაში გატყდებოდა და მისი ჰაზრით, მისი შეხედულების თანახმა შეიქმნებოდა, ეგნატე კი ისეთი კაცი არ იყო, რომ სხვისი მორიდებით, რაიმე საგანზე თავისი ჰაზრი, თუ დარწმუნებული იყო იმის სინამდვილეში, უარეყო და სხვისი მიეღო. ასეთ მოურიგებელ დაობაში გრიგოლი ხშირად მიაძახებდა: „ნუ ხარ, ეგნატე, ჯიუტი, დაუჯერებელი კაციო“ და გულმოსული დაიწყებდა სიარულს, მაგრამ გრიგოლმა ერთობ იცოდა გულის მობრუნება და გაიმართებოდა ისევ ლაპარაკი“.

გურიელიდან ეგნატეს წასვლის მეორე მიზეზი, რასაც შალვა რადიანი მთავარ მიზეზად მიიჩნევს, უნდა ყოფილიყო ის, რომ ეგნატეს ეთაკილებოდა სხვისი პირადი მდივნობა, თორემ ეგნატე მის მეგობარ ალექსანდრე თოიძეს არ მისწერდა: „მე სოფელ ორაგვეს (გრიგოლ გურიელის აგარაკია) ვიმყოფები ჯერ-ჯერობით გრიგოლ გურიელთან და შევყურებ უკბილო პირში, იქნება გალოკილი ძვალი გავარდეს-მეთქი. ჯამაგირი თვიურათ თითო თუმანი, მაგრამ ეს ხარჯათ არ მყოფნის და ამიტომ ვალები თანდათან მემატება, მომავალი ჩემთვისაც გამოცანაა: არ ვიცი, თუ რა საქმეს დავადგები, როცა ეს ასი წლის ყმაწვილი გრიგოლი წაბრძანდება წიაღსა აბრამისასა! თან თუ წავყვები, თორემ სხვა გზა ჯერჯერობით არ ჩანს. ოფიციალურ სამსახურში შესვლა არ შემიძლია, რადგან ვინმე „კუჭს“ მომაყვანინებს და ტყვილად გამაუბედურებენ.“ აქედან ჩანს, რომ ეგნატე ამ სამსახურის დატოვებას არ აპირებდა, მაგრამ რა მოხდა 1888 წლის 7 ნოემბერს, ეგნატე ოზურგეთიდან ალფესი ბარამიძეს წერდა: „დღეს გავასწორე ყოველივე ანგარიში და გავშორდი კნიაზ გურიელს. ამ დღიდან მოყოლებული მიგულებდეთ უქმათ მამაჩემის სახლში.“

მკლევარები ეგნატეს წასვლის მთავარ მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სწორედ ამ დროს დაიწო ტყეებისა და მიწების გამიჯვნა, ერთის მხვრივ თავადებსა დ აზნაურებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ ორივესა და გლეხებს შორის.

ამით მთავრდება ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ოზურგეთში, ერთი გარემოება რომ არა: ყველა მასალა თითქმის შეგროვებული მქონდა, ბატონ ვახტანგ მამეიშვილს რომ შევხვდი. როგორც ყოველთვის მოიკითხა ჩემი საქმიანობა, მე ეგნატე ნინოშვილზე, მის ქალამანზე და მისი ხელით გაკეთებული ჯარგვალის შთაბეჭდილებების ქვეშ ვიყავი და ეს ვუამბე, თან დავძინე, მალე -17 თებერვალს დაბადებიდან 160 წლისთავი სრულდება- მეთქი. ბატონმა ვახტანგმა მითხრა, თქვენთან ხომ ინახება იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ეგნატეს ბიუსტი, შესაძლოა, მაგის ასლი გავაკეთოთო. მუზეუმში ინახება აგრეთვე სევერიან მაისაშვილის მხატვრული ტილო „ეგნატე თავის ეზოში“.

როცა გამოვემშვიდობე, უკან, სავარძელში მოკალათებულმა ჩემთვის უცნობმა ახალგაზრდა ქალბატონმა მითხრა: რევაზ ინანიშვილის „ჯარგვალზე“ რას იტყვითო? ვნახავ-მეთქი, ვუთხარი და მადლობა გადავუხადე. სახლში მისულმა ინანიშვილის ექვსტომეულის მესამე ტომში აღმოვაჩინე მოთხრობა „ჯარგვალი“. ჩემდა გასაკვირად ჩემი სულიერი განწყობილება დაემთხვა ბატონ რევაზ ინანიშვილის განცდებს. მკითხველს ვთავაზობ ამონარიდებს ამ მოთხრობიდან: „გადაშლილი მაქვს ეგნატე ნინოშვილის 1935 წელს გამოცემული თხზულებათა სრული კრებულის მესამე ტომი და სიტყვა-სიტყვით ვწერ ესმა თოთიბაძის მოგონებას, ჩვენი დროისათვის ამ უცნაურ საქციელს, რა თქმა უნდა, ექნება თავისი მიზეზები, შეიძლება ითქვას, მიზეზთა მთელი წყებაც, მაგრამ, რადგანაც მათი უბრალო ჩამონათვალიც კი შორს წაგვიყვანდა ძალიან, მე მხოლოდ ერთს ვიტყოდი, იმასაც ორიოდ სიტყვით. სტრიქონები, რომლებსაც მე ამ წიგნიდან ვიწერ, ყრუ, განწმენდილ ტკივილებად შემოდის ჩვენში, მინდა ასეთი ყოფნა გაგრძელდეს, რაც შეიძლება დიდხანს, მინდა ხელები გავშალო, მივაწვდინო სხვებს და ეს ტკივილები ელექტროდენივით გადავცე მათ... მგონია, ამით ნაწილობრივ მაინც მოვიხდიდით სასჯელს, რაიც გვეკუთვნის დიდი, პატიოსანი ადამიანების წამებული სულების წინაშე, თუნდაც შემთხვევით გამოჩენილი გულგრილობის გამო, რა სახის ლიტერატურულ ფაქტთან გვაქვს საქმე, მე ეს არ მადარდებს. ამ კატეგორიების დამდგენთა წინაშე მე შემიძლია ძალიან გულმშვიდად წავრდგე...

...ეგნატე ნინოშვილი ოცდათოთხმეტი წლისა გარდაიცვალა ფილტვების ტუბერკულოზით, სოფელში კუბოსთვის მასალა ვერ იშოვეს, მთლიანი მორი ამოგულეს, შიგ ჩაასვენეს და ისე დამარხეს. მის კალამს ეკუთვნის: „პალიასტომის ტბა“ „ჯანყი გურიაში“, „გოგია უიშვილი“, „ქრისტინე“, „სიმონა“, „პარტახი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვა მოთხრობები. თუმცა, სულ დამავიწყდა მეკითხა, გიყვართ, საერთოდ, მოთხრობები, თუ არა?“

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

# პოეზიით დამთავრებული ლექცია

თემურ მარშანიშვილი





6 დეკემბერს ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ლიტერატურულ კაფეში „რვას+1“ ოზურგეთელ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა დასწრებოდა თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის, პოეტ **რატი ამაღლობელის** საჯარო ლექციას „ევროპა და საქართველო ღირებულების კავშირი“. სტუმარმა, რასაკვირველია, ჩვეული ორატორობით წარმართა საღამო და შეიძლება ითქვას, სულ სხვა, განსხვავებულ ჭრილში წარმოგვიდინა ევროპა თავისი ღირებულებებით. მაგრამ ეს არ იყო ლექცია, სადაც ლექტორი მხოლოდ ლექტორობდა და მსმენელი მხოლოდ მსმენელობდა, დროდადრო იცვლებოდა მათი როლები, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დამსწრე საზოგადოების აქტიურობამ. აბა, ასეთი საღამო გურული იუმორის გარეშე ხომ არ ჩაივლიდა. ბოლოს კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: კაფეში სულის სამშვენ ინტონაციებად არაკრაკდა რამდენიმე ლექსი რატი ამაღლობელის დიდებული პოეზიიდან.

ღონისძიებით ნასიამოვნებს და შინ (ანსეულში) ფეხით მიმავალს, კარგი სამსახური გამიწია სწორედ იმ დღეს დემოკრატიული ჩართულობის ცეტრში, ადგილობრივ ფერმერებთან კომპანია „კარტლისის“ შეხვედრაზე ამ კომპანიის მიერ სამახსოვროდ გადმოცემულმა უბის წიგნაკმა, რომელშიც ჩემი ბატიფეხურით ეს ექსპრომტი ჩავინიშნე:

**კაფეში „რვას+1“**

**აქ სხვა სივრცეა და სხვა ჟანგბადი,**
**ბაჯაღლო, არა რკინა ჟანგვადი,**
**ბევრად ძვირია, რაიც „ფანტა“ ღირს,**
**ფანტაზიების მარტო ფანტვად ღირს.**

**შემოდგით ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,**
**არ თქვათ, ცხრააო რვას პლიუს ერთი,**
**ამ მიმატების მე ვიცი სენთი:**
**„რვას + 1“ ერთია, ერთი!!!**

მართლაც, რა სჯობია „რვას +1“-ის ისეთ საღამოებს, სადაც ლექციაც კი ლექსად იღვრება.

## თურქეთის დიდ საერთაშორისო ტურნირში ოზურგეთელმა ლევან ქავჟარაძემ გაიმარჯვა





თურქეთის ქალაქ სტამბულში, სადაც ვები ემრისა და ამიტ კაპლანის სახელობის დიდი საერთ-აშორისო ტურნირი მიმდინარეობს ბერძნულ-რომაულ ჭიდ-აობაში, ევროპის და აზიის საუკეთესო ნაკრები გუნდები გამოდიან. ტურნირის მონაწილეთა შორის საქართველოს ნაკრებიცაა.

63კგ. წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრების წევრმა, ოზურგეთელმა **ლევან ქავჟარაძემ.** მან ყველა ჩატარებული ბრძოლა მოიგო და ფინალში აზერბაიჯანელი მეტოქე კამრან მამადოვი დაამარცხა.

ლევან ქავჟარაძე ტურნირის გამარჯვებული გახდა.

## ოზურგეთელი მძლეოსნების წარმატება თბილისის ღია პირველობაზე



3 თებერვალს, ქ. თბილისში მძლეოსნობის სასახლეში, თბილისის ღია პირველობა გაიმართა. ღია პირველობაში სხვა რეგიონის ნაკრებ გუნდებთან ერთად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების მძლეოსნობის ნაკრები გუნდი 9 სპორტსმენით იღებდა მონაწილეობას და წარმატებითაც იასპარეზეს.

**გიორგი დეკანოიძე** სამხტომში შედეგით - 14 მ. 60 სმ. პირველი ადგილის მფლობელი გახდა. წარმატებით იასპარეზა ასევე, **ამირან თავართქილაძე.** მან 200 მ. გარბენში მეორე ადგილის მფლობელი გახდა. საგულისხმოა ისიც, რომ ტრამვების შემდეგ აღნიშნული ტურნირი თავართქილაძისათვის პირველი იყო. რაც შეეხება ბირთვის კვრას ( 4 კგ. ) აქ **თამუნა მახარაძემ** მესამე ადგილის დაკავება შესძლო.

აღნიშნული ტურნირის მიზანი, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისთვის, ზამთრის ევროპის ჩემპიონატისთვის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის დაკომპლექტება და კანდიდატების შერჩევა იყო. **გიორგი დეკანოიძემ** თბილისის პირველობაზე გამოსვლით საუკეთესო შედეგი აჩვენა. დეკანოიძე სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე ( 23 - წლამდელთა შორის ) საასპარეზოდ უკვე მიიწვიეს, საქართველოს ნაკრების წევრად.

ოზურგეთელი მძლეოსნები შეჯიბრისთვის **მარინა კოტრიკაძემ** მოამზადა.

## ოზურგეთში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე



ოზურგეთში ვახტანგ ბლაგიძის სახელობის სპორტის სასახლეში 23 წლამდელთა შორის ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში ფინალური შეხვედრები გაიმართა.

60 და 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილები და ოქროს მედლები ოზურგ-ეთელმა მოჭიდავეებმა **ირაკლი ძიმ-ისტარაშვილმა** და **გიორგი გუ-ჯაბიძემ** მოიპოვეს.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამარჯვებულები კი გახდნენ:

**55 კგ. - ფრიდონ აბულაძე;**
**60 კგ. - ირაკლი ძიმისტა-რაშ-ილი;**
**63 კგ. - გიორგი გუჯაბიძე;**
**67 კგ. - გიორგი კურტანიძე;**
**72 კგ. - ოთარ აბულაძე;**
**77 კგ. - დავით სოლოღაშვილი;**
**82 კგ. - აივენგო რიკაძე;**
**87 კგ. - გურამ ხეცურიანი;**
**97 კგ. - საბა ბუხრიკიძე;**
**130 კგ. - გიორგი ბარბაქაძე.**

## მადლობა ჩვენი სოფლის რწმუნებულს მაია ჩავლეიშვილს

სადაც პრობლემაა, შენ იქ ხარ, ვისაც წამალი სჭირდება ან საავადმყოფოში გადაყვანა, ყველას დამხმარე შენ ხარ. ყველა ავადმყოფის და გაჭირვებულის იმედი ხარ. უფლის მადლიერი ვარ, რომ შენ ჩემი შვილის, თამარ შავაძის მეგობარი ხარ. გაიხარე მაია, წარმატებები გქონოდეს.

მერი შავაძე,
სოფ. მთისპირი (უკანავა).




## იყიდება

ქ. ოზურგეთში, ორსართულიანი კაპიტალური სახლი (საყრდენი კედლები ორმაგი ბლოკით აშენებული, ზომით 18X14), ორი ავტოფარეხით. ცალკეა კაპიტალური სამზადი. შენობის პირველ სართულზე და სამზადში არის ბუხრები.
შენობის ორთავე სართულზე დაგებულია მუხის პარკეტი, კედლები მოპირკეთებულია პანელით.
სასტუმრო და საძინებლები — ევრორემონტით.
საკარმიდამო ნაკვეთში (1000 კვ.მ) გაშენებულია ხეხილი და არის სასათბურე მეურნეობა.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, ბესიკის ქ.№1;
მობ. (599) 23 30 72.


## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 11 თებერვალი ორშაბათი | 12 თებერვალი სამშაბათი | 13 თებერვალი ოთხშაბათი | 14 თებერვალი ხუთშაბათი | 15 თებერვალი პარასკევი | 16 თებერვალი შაბათი | 17 თებერვალი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +2+8 | მზე, +4+12 | მზე, ღრუბელი +3+14 | ღრუბელი +4+13 | მცირე წვიმა, +2+6 | ღრუბელი +3+4 | მზე, ღრუბელი +4+9 |